ხობის მოამბე

„თვითმმართველობა უკეთესი ცხოვრებაა სოფლის ყოველდღიურის საქმეებისა. საცა უნდა ვიცხოვროთ, იქი ყველაფერს ვერთობს... ყოველი სახელმწიფოა, თავისს ტაბულად ცოდნათ თუ ეფრანგად დაიქმევინა, ნაწილი-ნაწილად ანის ყოველდღეობა, თვის მოვდა ყოველ ადგილობა ადგილი იყოს.“

№10 (7069) 18 მაისი,
ოთხშაბათი, 2016 წელი.
ფასი 0,70 ლარი.

ხობის მუნიციპალიტეტის გაზეთი

პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ IV ყრილობა

თბილისის სპორტის სასახლეში 14 მაისს „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ ყრილობა გაიმართა. ყრილობაზე მმართველი გუნდის წევრები, ყოფილი პრემიერ-მინისტრები ბიძინა ივანიშვილი და ირაკლი ღარიბაშვილი, უმრავლესობის დეპუტატები, პარტიის მხარდამჭერები შეიკრიბნენ. მათ შორის ბევრი ცნობილი სახეც იყო–ბიზნესმენები, სპორტსმენები, მსახიობები, მომღერლები და შოუბიზნესის სხვა ცნობილი სახეები.

ყრილობის დამსწრეებს შორის იყო ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი სალომე ზურაბიშვილი.

საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, ილია II-ის საახალწლო ეპისტოლე

6-7 გვ.

პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ ყრილობაზე პარტიის თავმჯდომარედ დელეგატებმა საქართველოს პრემიერი გიორგი კვირიკაშვილი ერთხმად აირჩიეს

ჩემთვის დიდი პატივია, ვიყო იმ პარტიის თავმჯდომარე, რომელიც ჩვენი ქვეყნის უახლესი ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე მძიმე დროს შეიქმნა და გარდამტეხი როლი შეასრულა საქართველოს სახელმწიფოს განვითარების გზაზე,–განაცხადა პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა პარტია „ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველოს“ ყრილობაზე.

გამოცხადებული ნდობისთვის პრემიერ-მინისტრმა მადლობა გადაუხადა პარტიის თითოეულ წევრს, საპარლამენტო გუნდს და მხარდამჭერებს. მან მადლობა გადაუხადა „ქართული ოცნების“ დამფუძნებელს, ბიძინა ივანიშვილს, რომლის შექმნილმა პოლიტიკურმა ძალამ შეძლო და მშვიდობიანად, არჩევნების გზით შეცვალა ხელისუფლება. გიორგი კვირიკაშვილმა ყოფილ პრემიერ-მინისტრზე, ირაკლი ღარიბაშვილზეც ისაუბრა, რომელმაც, მისი თქმით, ურთულეს და ძალიან საპასუხისმგებლო პერიოდში უხელმძღვანელა პარტიას და წარმატებით გააგრძელა ქვეყნის მართვა.

პარტიის დაარსებიდან 4 წლის თავზე, პრემიერ-მინისტრი ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიღწევად ანგარიშსწორების საფრთხის თავიდან აცილებას მიიჩნევს და მმართველი პარტიის მიზნად ქვეყნის მშვიდობიან, თანმიმდევრულ განვითარებასა და მოქალაქეების კეთილდღეობას ასახელებს.

„იყო თუ არა ეს 4 წელი უშეცდომო? პირდაპირ გეტყვით, რა თქმა უნდა, არა. და ეს ბუნებრივიც არის ახალგაზრდა პარტიისთვის. მაგრამ ჩვენ არც ამ შეცდომების აღიარება და არც რეალობისთვის თვალის გასწორება გაგვჭირვებია. ერთი რამ შეიძლება თამამად ითქვას, ჩვენი ყველა გადაწყვეტილება იყო მხოლოდ და მხოლოდ ქვეყნის სიყვარულით ნაკარნახევი და ეს არის უზენაესი, რითაც ჩვენ ვიხელმძღვანელებთ მომავალ გადაწყვეტილებებშიც“,–განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

სიტყვით გამოსვლისას პრემიერმა ხაზი გაუსვა პარტიის საგარეო-პოლიტიკურ ვექტორს, რომელიც, მისი თქმით, სრულად ემთხვევა ქართველი ხალხის ისტორიულ ნებას და მსოფლმხედველობრივ ერთობას ევროპასთან. მანვე ყურადღება გაამახვილა მეზობელ სახელმწიფოებთან ურთიერთობების მნიშვნელობაზე და აქვე აღნიშნა, რომ ურთიერთობის ნორმალიზაცია ვერ მოხდება საქართველოს დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ხარჯზე.

„ჩვენ უნდა გავხდეთ დემოკრატიული, სტაბილური და ეკონომიკურად კიდევ უფრო მიმზიდველი ქვეყანა, რომ ჩვენს აფხაზ და ოს მოქალაქეებს გაუჩნდეთ ჩვენთან ყოფნის სურვილი. მათ უნდა ისარგებლონ ყველა იმ სიკეთით, რაც დღეს გვაქვს, რაც მომავალში გვექნება, მათ შორის, რა თქმა უნდა, ევროპაში უვიზო მიმოსვლასაც ვგულისხმობ,“–განაცხადა პრემიერმა.

სიტყვით გამოსვლისას გიორგი კვირიკაშვილმა ისაუბრა ქვეყანაში განხორციელებულ მნიშვნელოვან რეფორმებზე და დამსწრეთ მმართველი პარტიის მიზნები და ამოცანები გააცნო.

„ჩვენი პოლიტიკის შედეგად უამრავი ადამიანი გადარჩა, როგორც ფიზიკურად, ისე მორალურად. მარტო C ჰეპატიტის უპრეცედენტო პროგრამის და ათასობით გადარჩენილი სიცოცხლის ხსენებაც კი საკმარისია. სახელმწიფოს მხრიდან ასეთი ზრუნვა და დახმარება თავისი მოქალაქეებისათვის ათეული წლები არ ყოფილა. სოფლის მეურნეობის, მეწარმეობის, მცირე და საშუალო ბიზნესის დასახმარებლად გადადგმულმა ნაბიჯებმა და კიდევ ბევრ სხვა სფეროში სახელმწიფო ხელშეწყობამ მნიშვნელოვანი შესაძლებლობები გააჩინა, რის შედეგსაც დღითიდღე უფრო დავინახავთ. ამ სამმა წელმა ჩვენ გზა გაგვიკაფა და მოგვცა იმის საშუალება, რომ დღეს უფრო დიდი და კონკრეტული მიზნები დავისახოთ და დავიწყოთ ქვეყნის სწრაფი ეკონომიკური განვითარება, რაც კონკრეტულ შედეგებს, ახალ სამუშაო ადგილებს და კეთილდღეობას მოგვიტანს,“–აღნიშნა პრემიერმა.

საგადასახადო რეფორმა და მეწარმეობის ხელშეწყობა, ეკონომიკაზე ორიენტირებული განათლება, გამართული ინფრასტრუქტურა, მმართველობის ეფექტიანი სისტემა–გიორგი კვირიკაშვილის თქმით, მმართველი ძალა მოქალაქეებს დღეს სწორედ ევროპული საზოგადოების ცხოვრების სტილს სთავაზობს. მისი განმარტებით, ამ გეგმების განხორციელება თანამედროვე ეკონომიკური ნება.

„ხელისუფლების ვალია, რაც შეიძლება ცოტა ადამიანს სჭირდებოდეს დახმარება. ეს არის ჩვენი საბოლოო მიზანი. მე ამაზე ბევრი მაქვს ნაფიქრი და სწორედ ადგილობრივი წარმოების ხელშეწყობა, ქვეყანაში სამეწარმეო სულისკვეთების გაჩენა მიმაჩნია რეალურ გამოსავლად. სწორედ ამ გზით იქმნება ახალი ბიზნესი, ახალი სამუშაო ადგილები და ასე დაიძლევა უმუშევრობა. ჩვენ ვიწყებთ ეგრეთ წოდებული „სტარტაპების“ პროგრამას, რომელიც გულისხმობს პერსპექტიული, ინოვაციური, საინტერესო ბიზნესიდეებისა და წინადადების დაფინანსებას, სახელწიფოს მხრიდან მათ ხელშეწყობას, ვისაც დღეს ამის ფინანსური რესურსი არ გააჩნია,“– აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა, რომელმაც მოუწოდა დამწყებ ბიზნესმენებს, განსაკუთრებით ახალგაზრდებს–ჩაერთონ პროგრამაში და დაიწყონ ბიზნესიდეების განხორციელება.

პარტიის თავმჯდომარემ „ქართული ოცნება –დემოკრატიული საქართველოს“ პარტიულ დღის წესრიგზეც ისაუბრა. მისი თქმით, ქართულ პოლიტიკას დღეს ახალი ენერგია და ახლებური ხედვა სჭირდება, რასაც პარტია განახლებული გუნდით ხვდება. გიორგი კვირიკაშვილი აცხადებს, რომ უახლოეს მომავალში საზოგადოება პარტიის რიგებში ბევრ პროფესიონალს იხილავს.

პრემიერ-მინისტრმა ყრილობის დელეგატებს, საკრებულოების „ქართული ოცნების“ ფრაქციების წარმომადგენლებს დაავალა, დაიწყონ პირდაპირი შეხვედრები მოსახლეობასთან, კონკრეტულად განსაზღვრონ პრობლემები ადგილებზე, რათა ჰქონდეთ კიდევ უფრო ზუსტი ინფორმაცია ხალხის საჭიროებებზე და მზად იყვნენ რეაგირებისთვის.

გიორგი კვირიკაშვილმა მადლობა გადაუხადა კოალიცია „ქართული ოცნებაში“ შემავალ პარტიებს თანამშრომლობისთვის. მისი განმარტებით, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ წინასაარჩევნო კამპანია ჩატარდეს ჯანსაღი კონკურენციის და არა კონფრონტაციის პირობებში და ჩატარდეს ყველა დემოკრატიული სტანდარტის დაცვით.

„მე, როგორც ქვეყნის პრემიერ-მინისტრი, ვიზრუნებ იმისათვის, რომ ყველა პოლიტიკურ სუბიექტს ჰქონდეს თანაბარი პირობები და საარჩევნო კამპანიის თავისუფალ გარემოში წარმართვის შესაძლებლობა,“–განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

სიტყვით გამოსვლის შემდეგ პარტიის თავმჯდომარემ ყრილობის დელეგატებს პარტია „ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველოს“ პოლიტიკური საბჭოს წევრთა განახლებული შემადგენლობა წარუდგინა.

საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი— „დღეს დეფიციტია სიყვარულისა, ოჯახმა დაკარგა თავისი მნიშვნელობა“



საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, ილია მეორის განცხადებით, ოჯახი არ არის შემთხვევითი შეხვედრა მამაკაცისა და ქალისა, ეს არის კანონიერი კავშირი ქალსა და მამაკაცს შორის.

„2030“ ინფორმაციით, აღნიშნული განცხადება ილია მეორემ “მსოფლიო საოჯახო კონგრესზე“ გამოსვლისას გააკეთა.

„დღეს დეფიციტია სიყვარულისა. ოჯახმა დაკარგა თავისი მნიშვნელობა, რომელიც უნდა ჰქონდეს მას. ოჯახი არის ღვთის მიერ დადგენილი ინსტიტუტი, ოჯახი არის ფუძე კაცობრიობის არსებობის, სახელმწიფოს კეთილდღეობისა და სიკეთისა. ოჯახი არ არის შემთხვევითი შეხვედრა მამაკაცისა და ქალისა, ეს არის კანონიერი კავშირი ქალსა და მამაკაცს შორის. ამას ძალიან დიდი ყურადღება სჭირდება, ეს არ უნდა დაკარგოს კაცობრიობამ.“–აღნიშნა პატრიარქმა.

„საქართველოს მოქალაქეებს გასაზრებელი გვაქვს, რას ნიშნავს ევროპა“

პარლამენტის თავმჯდომარის დავით უსუფაშვილის განცხადებით, საქართველოს მოქალაქეებს გასაზრებელი აქვთ, თუ რას ნიშნავს ევროპა.

დავით უსუფაშვილის თქმით, ევროპული კეთილდღეობა, შრომასა და შრომით კონკურენციაზეა დაფუძნებული.

„საქართველოს მოქალაქეებს გასაზრებელი გვაქვს, რას ნიშნავს ევროპა. ევროპა, ესაა ადგილი, სადაც წარმატება მიიღწევა არა ბრძოლით, არამედ შრომით, ასევე ევროპა არის ადგილი, სადა ადამიანები მუდმივ კონკურენციაში არიან, მაგრამ არ მტრობენ ერთმანეთს“, –განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ ილიას უნივერსიტეტში გამართულ საჯარო ლექციაზე.

მისი თქმით, ევროპას მოაქვს უსაფრთხოება და თავისუფლება. უსუფაშვილის განმარტებით, საქართველომ ევროპელ პარტნიორებს იმედები არ უნდა გაუცრუოს და უნდა აჩვენოს ევროპისკენ სწრაფვის სულისკვეთება.

„ვიზალიბერალიზაციაზე საქართველოსთვის დადებითი გადაწყვეტილება ნებისმიერ დროს შეიძლება მიიღონ“

უნგრეთის საგარეო საქმეთა და ვაჭრობის მინისტრი გიულა ბუდაი საქართველოს სტუმრობდა.

მისი თქმით, შეხვედრებზე მნიშვნელოვანი განხილვის თემა იყო რუსეთის მიმართ ევროკავშირის მიერ დაწესებული ემბარგო და პირიქით, რუსული ემბარგო ევროკავშირისთვის.

„საინტერესოა კვლევა, თუ რამდენად შესაძლებელი იქნება ქართულ-უნგრული ერთობლივი საწარმოების მიერ სხვადასხვა პროდუქციის გატანა რუსეთში, ჩინეთსა და სხვა ქვეყნებში. იმისთვის, რომ ჩვენი ქვეყნის ინვესტორებმა საქართველოში ფული ჩადონ, საჭიროა, ინვესტიციის დაცვის სახელმწიფო გარანტია ხელშეკრულების სახით. შეხვედრიდან გამოიკვეთა, რომ ამ კონტრაქტს მალე მოეწერება ხელი, მხოლოდ რამდენიმე ტექნიკური საკითხია მოსაგვარებელი“,–განუცხადა „ბიზნეს-რეზონანსს“ ბუდაიმ.

მისი თქმით, საგარეო საქმეთა სამინისტროში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შეკითხვა, რომელიც დაუსვეს, იყო-უჭერს თუ არა უნგრეთი საქართველოსთვის უვიზო რეჟიმის შემოღებას.

„ამ მიმართულებით, უნგრეთი ევროკავშირის სხვა ქვეყნებთან შედარებით, ყველაზე აქტიური მხარდამჭერია. ყოველთვის ვამბობდით, რომ ქართველებმა უვიზო მიმოსვლა უკრაინასა და თურქეთისგან ცალკე უნდა მიიღონ, ამ ხაზს ბოლომდე ვიცავთ. მაისის შუა რიცხვებში, ევროკავშირის ექსპერტები ვიზალიბერალიზაციის საკითხზე იმსჯელებენ. უნგრეთი საქართველოს სწრაფვას ევროპისკენ მომავალშიც მხარს დაუჭერს“,–განაცხადა ბუდაიმ.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი_საქართველო სტაბილური ქვეყნების კატეგორიაში შედის

საქართველოს მთავრობის მეთაურმა პრეზენტაციაზე შეკრებილ წამყვანი ბრიტანული საინვესტიციო ფონდებისა და ბანკების ხელმძღვანელ პირებს დეტალურად გააცნო ის შესაძლებლობები, რომლებსაც საქართველო ინვესტორებს სთავაზობს.

„მსოფლიო ბანკის თანახმად, ჩვენი ქვეყანა ერთ-ერთი წამყვანია მსოფლიოში ბიზნესის წარმოების სიმარტივის კუთხით, გადასახადების სიმსუბუქის თვალსაზრისით კი ჩვენ მე-9 ადგილზე ვართ მსოფლიოში.

ჩვენ გავზარდეთ ჩვენს ქვეყანაში შემოსული უცხოური ინვესტიციების მოცულობა, ხოლო წამყვანი სარეიტინგო საგენტოების თანახმად, საქართველო სტაბილური ქვეყნების კატეგორიაში შედის“,–განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

გიორგი კვირიკაშვილმა ასევე ისაუბრა იმ შესაძლებლობებზე, რომელსაც ინვესტორებს საქართველოს მიერ ევროკავშირთან ხელმოწერილი ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება აძლევს და აღნიშნა, რომ მთავრობა მზად არის, მაქსიმალურად შეუწყოს ხელი ქვეყანაში მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიციის მოზიდვას.

ბიზნესფორუმს 130 ბიზნესმენი დაესწრო.

ჩეხეთის პარლამენტის წარმომადგენელთა პალატის თავმჯდომარე–საქართველო ყოველთვის იყო ევროპა

საქართველო ყოველთვის იყო ევროპა და ჩეხეთი საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებას მხარს უჭერს.

აღნიშნული განცხადება ჩეხეთის რესპუბლიკის პარლამენტის წარმომადგენელთა პალატის თავმჯდომარემ იან ჰამაჩეკიმ საჯარო ლექციაზე (აღმოსავლეთ ბლოკის ქვეყნებიდან ევროპულ სახელმწიფომდე-პრაღისა და თბილისის გადმოსახედიდან) გააკეთა.

მისი განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ ჩეხეთი საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებას მხარს უჭერს, ევროკავშირის დანარჩენმა წევრმა ქვეყნებმაც შესაბამისი მხარდაჭერა უნდა გამოხატონ საქართველოს მიმართ.

კითხვაზე, საქართველო ევროგაერთიანების წევრი როდის უნდა გახდეს, ჩეხეთის პარლამენტის თავმჯდომარეს პასუხი არ აქვს, თუმცა აღნიშნა, რომ 6 ქვეყანას შორის, საქართველოს ყველაზე პოზიტიური შედეგი აქვს.

მან ასევე აღნიშნა, რომ ემხრობა მოსაზრებას, ქვეყნების მიმართ მოდელირებული, ინდივიდუალური მიდგომა იყოს და გამოთქვა იმედი, რომ აღმოსავლეთ-პარტნიორობის ფარგლებში, საქართველოსთან თანამშრომლობა გაღრმავდება.

მანვე აღნიშნა, რომ რუსეთის საკითხი არ არის მარტივი. ჟენევასა და პრაღაში მიმდინარე მოლაპარაკებებს ის დადებითად აფასებს.

დეპუტატი დროში

„საპარტნიორო ფონდი“ ხობში მიმდინარე მშენებლობით ინტერესდება

„საპარტნიორო ფონდის“ აღმასრულებელი დირექტორი დავით საგანელიძე, საქართველოს პარლამენტის ხობის მაჟორიტარ დეპუტატ გოდერძი ბუკიასთან ერთად ხობის მუნიციპალიტეტს ესტუმრა. ფონდის ძირითადი დაინტერესება ხობში, „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის ფარგლებში, გოდერძი ბუკიას ხელშეწყობით დაწყებული სიმინდის მარცვლის გადამამუშავებელი და ზეთის მწარმოებელი საწარმოების მშენებლობას უკავშირდება.

მათ ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელ გოჩა ქაჯაიასთან და შპს „საქართველოს მცენარეული ზეთების კომპანია ქარვას“ გენერალურ დირექტორ ილია ქანთარიასთან ერთად მშენებლობის პროცესი დაათვალიერეს. როგორც შეხვედრის შედეგად გაირკვა, „საპარტნიორო ფონდი“ საწარმოების განვითარებას თანაპარტნიორის სტატუსით უერთდება.

მშენებლობა, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ხორციელდება. პროექტის მიზანია გაუმჯობესდეს მუნიციპალიტეტის ეკონომიკური მდგომარეობა, გაიზარდოს კერძო სექტორში დასაქმებულთა რიცხვი, განვითარდეს სოფლის მეურნეობა და ყველაზე უმთავრესი, დაფასდეს გლეხის შრომა.

მოგეხსენებათ, ევროპაში ერთ-ერთი უძლიერესი კომპანია „მაისტარლენდი“ ხობში ქაღალდის გადამამუშავებელი საწარმოს აშენებას იწყებს. „საპარტნიორო ფონდი“ ამ პროექტის შესწავლითაც ინტერესდება.

დავით საგანელიძე ხობის მუნიციპალიტეტში მიმდინარე წლის 7 მაისს იმყოფებოდა.

ქალაქი ხობი ქართველ სტუდენტებს უხმობს

„სტუდენტები უნდა გახდნენ ქართული კულტურის, მუსიკის პატრონები“–ამ მიზნით და ამ იდეით საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდმა „ხობი“, მისი პრეზიდენტის გოდერძი ბუკიას ხელმძღვანელობით, 12 მაისს ახალი ინიციატივის პრეზენტაცია მოაწყო. პროექტი „ქართული სიმღერის სტუდენტური ფესტივალი“ 23-25 სექტემბერს ხობის მუნიციპალიტეტში გაიმართება და საქართველოში არსებული თითქმის ყველა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი ჩაერთვება.

ფესტივალი გააერთიანებს ახალგაზრდებს. შექმნის მეგობრობის, თანამშრომლობის, კულტურის სფეროში ნიჭის გამოვლენის შესაძლებლობებს. ხელს შეუწყობს ახალგაზრდებში შენარჩუნდეს როგორც ფოლკლორის, ისე თანამედროვე ქართული სიმღერის სიყვარულის და ინტერესის შენარჩუნება. სტუდენტური ფესტივალის ჩატარება განაპირობა ხობის საერთაშორისო ფესტივალის „სიმღერა სამეგრელოზე“ ახალგაზრდების აქტიურმა ჩართულობამ.

მაშინ, როდესაც ხელოვნებისთვის ბევრს არც ეცალა, სწორედ ფონდმა „ხობი“ ქართული კულტურის თვალსაჩინო მოღვაწეთა თანადგომითა და ძალისხმევით შეძლო ხობის ფესტივალი ფართომასშტაბიან შემოქმედებით და წარმატებულ მუსიკალურ პროექტად ექცია, რომელმაც უკვე საკუთარი ისტორია შექმნა და დღეს ის ბრენდია. ფესტივალი ორ წელიწადში ერთხელ ტარდება და თავისი ფორმატით, საკონცერტო და საგამომცემლო საქმიანობით, ფასდაუდებელ სამსახურს უწევს ქართული სიმღერის პოპულარიზაციას. ამ ფესტივალის შუალედში ჩატარდება სტუდენტური ფესტივალი.

სტუდენტური ფესტივალის ორგანიზატორები არიან საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „ხობი“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, უმაღლესი სასწავლებლების რექტორატი და სტუდენტური თვითმმართველობები.

ფესტივალის მასპინძელია სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნია, ხობის მუნიციპალიტეტი და ხობელი ახალგაზრდობა.

ფესტივალის საორგანიზაციო ჯგუფში იქნებიან სტუდენტთა შემოქმედებითი კოლექტივების წარმომადგენლები. ახალგაზრდების პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ფესტივალის სიმბოლიკის შექმნა, მხატვრული გაფორმება, რეჟისურა, საფესტივალო ალბომი და სხვა მიმართულებები, მთლიანად უზრუნველყოფილი იქნება თბილისის სამხატრო აკადემიის, შ. რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწოფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის და სხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტების მიერ.

სტუდენტური ფესტივალის მონაწილე უმაღლესი სასწავლებლების და შემოქმედებითი ჯგუფების ცნობადობის ამაღლების მიზნით სპეციალური ალბომი გამოიცემა.

ფესტივალი ორ დღეს გასტანს. ახალგაზრდები იცხოვრებენ ოჯახებში. გაეცნობიან სამეგრელოს ტრადიციებს. დაათვალიერებენ ღირშესანიშნაობებს. სასიამოვნო დროს გაატარებენ და კიდევ უფრო გაილამაზებენ სტუდენტურ ცხოვრებას.

გოგი ბუკიას სახელობის საერთაშორისო მემორიალური ტურნირი ჟურნალისტების მონაწილეობით

გოგი ბუკიას მემორიალური საერთაშორისო ტურნირი ნარდში, რომელიც არსებობის თითქმის 10 წლის ისტორიას ითვლის, რეიტინგითა და ავტორიტეტით დღეს მონტეკარლოსა და კვიპროსის ტურნირებთან ერთად მსოფლიოს საუკეთესო ტურნირების სამეულში შედის.

საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „ხობის“ ინიციატივით, რომლის პრეზიდენტიც გოდერძი ბუკია გახლავთ, უკვე შესაძლებელი გახდა სამი საერთაშორისო ასპარეზობის–გოგი ბუკიას მემორიალური ტურნირის, ჟურნალისტთა საერთაშორისო ტურნირისა და მსოფლიო თასის გათამაშების ორგანიზება.

ფონდთან ერთად „საქართველოს ნარდის კლუბმა“ და საქართველოს უმსხვილესი ონლაინდა ოფლაინ- აზარტული თამაშების კომპანია „ევროპა ბეთმა“, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მხარდაჭერით, ჟურნალისტთა საერთაშორისო მედიატურნირს უმასპინძლა. ღონისძიება წყალტუბოში, სასტუმრო „წყალტუბო პლაზაში“ ჩატარდა და მასში მსოფლიოს 9 ქვეყნის 41 ჟურნალისტი მონაწილეობდა.

წლების მანძილზე უცვლელი ყურადღება დეპუტატისგან

საქართველოს პარლამენტის ხობის მაჟორიტარი დეპუტატი გოდერძი ბუკია, მუნიციპალიტეტის 200-მდე ოჯახს ყოველ წელს, უცვლელად, საახალწლოდ და სააღდგომოდ მცირედი ნობათით ულოცავს დღესასწაულებს.

სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი მრავალშვილიანი დედები, მოხუცები, სამამულო ომის ვეტერანები, სოციალურად დაუცველი ოჯახები და მრევლი წელს საადგომოდ კვლავ გაიხსენა გოდერძი ბუკიამ და ტრადიციას არ უღალატა. მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს თანამშრომლები ორი დღის განმავლობაში კარდაკარ დადიოდნენ და დეპუტატის მილოცვას და საჩუქრებს მოსახლეობას გადასცემდნენ.

ადრესატებს ჰქონდათ ამის მოლოდინი... რადგან ისინი დეპუტატს ყოველთვის ახსოვს...

ჩვენს მუნიციპალიტეტში

ხობის განვითარება

განხორციელდა 11 მილიონ 300 ათასი ლარის ინფრასტრუქტურული პროექტები

სამუშაოებზე **დასაქმდა 2000** ადგილობრივი მოსახლე

- დაფინანსდა 8 ახალი და 1 არსებული საწარმო
- მიკრო- და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის ფარგლებში დაფინანსდა 10 პროექტი
- შეღავათიანი აგროკრედიტი პროგრამის ფარგლებში სესხი გაიცა 78 ბენეფიციარზე
- შეიქმნა 12 კოოპერატივი

- მოწესრიგდა 26 საჯარო სკოლის ინფრასტრუქტურა
- განხორციელდა 2 საბავშვო რეაბილიტაცია და 24 ბაღში ჩატარდა რემონტი

- ხობს გადმოეცა სასწრაფო დახმარების 2 ავტომანქანა
- აშენდა ახალი ამბულატორია

- განხორციელდა ქ. ხობის 12 ქუჩის რეაბილიტაცია
- ჩატარდა ქ. ხობის ცენტრალური ქუჩების კეთილმოწყობის სამუშაოები: ტროტუარზე დაიგო ქვაფენილი, მოწესრიგდა მინისქვეშა კომუნიკაცია

რეაბილიტირდა:

- ხობი-საჯიჯაო-ლესიჭინეს საავტომობილო გზის მონაკვეთი
- ახალი ხიბულა-ნარაზენის საავტომობილო გზის მონაკვეთი
- სანიაღვრე სისტემის 73 ობიექტი

- 2015 წელს მცირემიწიან ფერმერთა ხელშეწყობის პროგრამით ისარგებლა 10 079 ფერმერმა
- ქ. ხობში მიმდინარეობს 5 ქუჩაზე ასფალტ-ბეტონის საფარის დაგება
- მიმდინარეობს ნაპირსამაგრი სამუშაოები მდინარე ხობისწყალზე
- იწყება საფეხბურთო სტადიონის რეაბილიტაცია
- რეაბილიტირდება კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი
- მიმდიანრეობს ხობი-ახალსოფელი-რკინიგზის სადგურის გზის 10 კმ-იანი მონაკვეთის რეაბილიტაცია

მიმდინარეობს წყლის სისტემის რეაბილიტაცია

- 2016 წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 848.311 ლარის 73 პროექტი განხორციელდება.
- დაგეგმილია ხორგა-ყულევი გზის 18 კილომეტრიანი მონაკვეთის რეაბილიტაცია

სოფლის მეურნეობა

„აგროდაზღვევა“–ფერმერთა სამსახურში

10 მაისს ხობის საინფორმაციო საკონსულტაციო სამსახურის წარმომადგენლებმა ფერმერთა საინიციატივო ჯგუფთან ერთად მორიგი შეხვედრა გამართეს. ფერმერთა საინიციატივო ჯგუფი ხობის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურთან ფერმერების საქმიანობაში არსებული პრობლემების ანალიზის, იდეების გამოკვეთისა და პრობლემების გადაჭრის ალტერნატიული ქმედებების შემუშავებისთვის შეიქმნა.

საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის თანამშრომლებმა საინიციატივო ჯგუფის წევრებს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ინიცირებული პროგრამები გააცნეს და მათი შეფასებები მოისმინეს. შეხვედრაზე განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა პროექტში „აგროდაზღვევა“ 2016 წლისთვის შესულ ცვლილებებზე. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიცირებით პროგრამას ,,აგროდაზღვევა“ 2014 წლის 1 სექტემბრიდან ა(ა)იპ პროექტების მართვის სააგენტო ახორციელებს. პროგრამა მიზნად ისახავს აგროსექტორში სადაზღვევო ბაზრის განვითარებას, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობას, აღნიშნული საქმიანობით დაკავებული პირებისთვის შემოსავლის შენარჩუნებას და რისკების შემცირებას.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში სადაზღვევო პოლისი დაფარავს შემდეგ სადაზღვევო რისკებს:

1. სეტყვა
2. ჭარბი ნალექი
3. ქარიშხალი
4. საშემოდგომო ყინვა

(მხოლოდ ციტრუსოვანი კულტურებისთვის) - 1 სექტემბრიდან 30 ნოემბრის ჩათვლით პერიოდში.

2016 წელს განხორციელებული ცვლილებების თანახმად, ბენეფიციარს შეუძლია დააზღვიოს 5ჰა.-მდე მიწის ნაკვეთი (მარცვლეული კულტურის შემთხვევაში 30 ჰა.) თითოეული დამზღვევი 70% - იან თანადაფინანსებას მიიღებს პროგრამით გათვალისწინებულ ყველა კულტურაზე, ხოლო ვაზზე 50%-ს. მიწის ნაკვეთის საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შემთხვევაში ან უკვე არსებული საკადასტრო კოდით დაზღვევისას თანადაფინანსება არსებულზე 10%-ით მეტი იქნება. 2016 წელს იმოქმედებს მინიმალური და მაქსიმალური სადაზღვევო ტარიფები. აღნიშნული ცვლილება ხელს შეუწყობს სადაზღვევო კომპანიებს შორის კონკურენციის ამაღლებას და მათი მხრიდან სადაზღვევო რისკების სწორად შეფასებას.

ასევე მიმდინარე წელს გაუმჯობესდა და მაქსიმალურად მოერგო მომხმარებლის მოთხოვნებს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის და ფრანშიზის (არანაზღაურებადი მინიმუმის) გამოქვითვის წესი.

პროგრამით ,,აგროდაზღვევა“ დაინტერესებულ ფერმერებს დეტალური ინფორმაციისთვის შუძლიათ ადგილობრივ საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურს მიმართონ შემდეგ მისამართზე: ქალაქი ხობი, ცოტნე დადიანის#189, ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მე-3 სართული, ოთახი 303, ტელეფონი 595 858322.

მოქმედებს სამინისტროს ცხელი ხაზი +995 32 47 01 01.

სამადლობელი ბატონ კარიმ გულიევს

ხობის მუნიციპალიტეტისა და შ.პ.ს. „შავი ზღვის ტერმინალის“ ურთიერთთანამშრომლობით წლების განმავლობაში მრავალი სასიკეთო საქმე გაკეთდა. არაფერს ვამბობთ დიდ სამამულო ომის მონაწილეთა და უმწეო ბენეფიციართა ყოველწლიურ დახმარებებზე.

ამჯერად შ.პ.ს. „შავი ზღვის ტერმინალის“ გენერალურმა დირექტორმა ბატონმა კარიმ გულიევმა გადაწყვეტილება მიიღო ჩართულიყო ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში რაჭიპ მამედოვისა და მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა მემორიალის რეაბილიტაციისა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოებში და ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში საამისოდ გარკვეული რაოდენობის თანხა ჩაერიცხა.

ზოგადად ხობის მუნიციპალიტეტის და ჭალადიდის მოსახლეობამ ამის გამო უდიდესი მადლიერება კიდევ ერთხელ გამოხატა.

მოსახლეობის მადლიერება მუნიციპალიტეტის გამგებლის ბატონ გოჩა ქაჯაიას მადლობის ბარათზე აისახა, რომელიც მუნიციპალიტეტის გამგებელმა ტერმინალის გენერალურ დირექტორს ბატონ კარიმ გულიევს გაუგზავნა. მან მადლობა გადაუხადა ტერმინალის ხელმძღვანელებს მუნიციპალიტეტის განვითარების საკითხებში თანადგომისა და მხარდაჭერისთვის. პირად და საზოგადოებრივ ასპარეზზე წარმატებები უსურვა.

ბატონ კარიმ გულიევის გადაწყვეტილება თანადგომის, პარტნიორული ურთიერთობების და მრავალგზის ქველმოქმედების კიდევ ერთი სასიამოვნო გამოხატულებაა.

მერი ლაგვილავა.

პარაკლისი ოჯახის სიწმინდის დღესთან დაკავშირებით

17 მაისს, ხობის წმინდა სამების სახელობის საკათედრო ტაძარში ფოთისა და ხობის მიტროპოლიტის გრიგოლის ლოცვა-კურთხევით, დეკანოზებმა კირიონ დარასელიამ და ილია ლომაიამ ოჯახის სიწმინდის დღესთან დაკავშირებით პარაკლისი გადაიხადეს.

ახალი კადრები

რუბრიკა ახალი კადრები, წარმოგიდგენთ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელს, დავით ჯანტურიას.

„მინდა წვლილი შევიტანო ჩემი ქვეყნის წინსვლაში...“

დავით, თქვენი მოკლე ბიოგრაფიული შტრიხები.

–ვცხოვრობ ქალაქ ხობში, დავიბადე 1987 წლის 13 დეკემბერს ქალაქ სენაკში.

დავამთავრე ქალაქ ხობის №2 საჯარო სკოლა, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობით, ბაკალავრის ხარისხი.

2013 წელს დავამთავრე თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობით, მაგისტრის ხარისხი.

2013-2015 წლებში ვმუშაობდი შპს „ნიუქონთრაქშენში“ სამუშაოთა მწარმოებლის თანამდებობაზე, ამავდროულად 2013-2016 წლებში ვმუშაობდი შპს „ნიუსტანდარტის“ დირექტორად.

რა კრიტერიუმით მოხდა თქვენი ამ თანამდებობაზე შერჩევა?

–საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებლის პოზიციაზე ვარ კონკურსის წესით დანიშვნამდე.

არც თუ ისე დიდი ხანია, რაც მუშაობთ. როგორ აუღეთ ალღო ახალ სამსახურს, ახალ კოლექტივს?

–ახალ სამსახურში საქმიანობა არ გამჭირვებია, რადგან ენერგიულ და ჯანსაღად მოაზროვნე ადამიანებთან მიწევს თანამშრომლობა.

საჯარო სამსახურში მუშაობის პრაქტიკა მანამ თუ გქონიათ?

–არა, არ მქონია.

როგორ აღიქვამთ კრიტიკას და საკუთარი თავის მიმართ, რამდენად კრიტიკული ხართ?

–ვითვალისწინებ და ვღებულობ სხვისგან რჩევებს.

რა არის თქვენი ცხოვრების ის მამოძრავებელი ძარღვი, რაც თქვენთვის უპირველესი და მნიშვნელოვანია?

–საქმისადმი სიყვარული და ჩემი ადგილის პოვნა ცხოვრებაში. მოვიშველიებ ქართველი პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსიდან ციტატას „არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს“.

რა თვისებები მიგაჩნიათ ადამიანის ღირსებად?

–სამართლიანობა, ერთგულება, სამშობლოსა და მოყვასის სიყვარული.

რა გტკენთ გულს ამ ეტაპზე, ყველაზე მეტად რას ვერ შეგუებიხართ?

–ქართველების გადინება საზღვარგარეთ და ქართული სოფლების დაცლა მოსახლეობისგან, რაც ჩვენი ქვეყნის დიდი პრობლემაა, ვინაიდან ძლიერი სოფელი ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერის ერთ-ერთი საფუძველია. ბევრი პროგრამა ხორციელდება სოფლის დასახმარებლად, საჭიროა უფრო მეტის გაკეთება.

ყველანი ბავშვობიდან მოვდივართ, როგორ გახსოვთ თქვენი ბავშვობის ადრეული პერიოდი?

–რატომღაც არ მიყვარდა ბაღში სიარული, სამწუხაროდ, ჩემი ბავშვობის პერიოდში რთული პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა იყო ქვეყანაში და ბავშვები განებივრებული არ ვიყავით, მაგრამ მიუხედავად ამისა, ბევრი ტკბილი და სასიამოვნო მოგონება დამრჩა.

თქვენი ყველაზე კარგი მოგონება სკოლის პერიოდიდან?

–ჩემი აღმზრდელი მასწავლებლებისა და მეგობრების სიყვარული და სითბო, რომელიც დღემდე მომყვება.

ბავშვობიდან რა თვისება შემოგრჩათ დღემდე?

–არ მიყვარს ყურადღების ცენტრში ყოფნა.

რას ვერ აპატიებთ ადამიანს?

–ღალატს.

თქვენს სტუდენტობაზე რას გვეტყვით?

–მახსოვს ძალიან კარგად, ვინაიდან ეს იყო კიდევ ერთი წარმატებული და წინ გადადგმული ნაბიჯი ჩემს ცხოვრებაში.

ბავშვობის აუხდენელი ოცნება თუ გაქვთ?

–ყოველთვის მინდოდა სხვადასხვა ქვეყანაში მოგზაურობა და სამწუხაროდ, სულ რამდენიმე ქვეყანაში ვარ ნამყოფი.

მოგვიყევით თქვენს ოჯახზე...

–დედა–მარინე გვასალია, ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგია, მუშაობს ხობის №2 საჯარო სკოლაში. მამა–აბდული ჭანტურია მშენებელ-ინჟინერია, დროებით უმუშევარი, და–გვანცა ჭანტურია, ცხოვრობს თბილისში, ყავს მეუღლე და ერთი შვილი, პროფესიით იურისტი, მუშაობს სოციალური მომსახურების სააგენტოს მეურვეობისა და მზრუნველობის სამმართველოში.

ეცნობით თუ არა ადგილობრივ პრესას, ხომ არ ისურვებდით მის ხილვას სხვა რაკურსში და თუ კი, მაშინ როგორში?

–ვეცნობი და კარგი იქნება, უფრო მრავალფეროვანი იყოს.

რას აფასებთ ადამიანში?

–სიკეთის კეთების სურვილს.

რას ინატრებდით?

–ერთიან და ეკონომიკურად ძლიერ საქართველოს.

ყველა ადამიანს თავისი სამომავლო გეგმები გათვლილი აქვს, თქვენ?

–მინდა ჩემი საქმიანობით პატარა წვლილი შევიტანო ქვეყნის წინსვლაში.

ესაუბრა ნინო გერგაია.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის საადგომო ეპისტოლე

„დამიხსნის მე უფალი ყოველი ბოროტი საქმისაგან და მაცხონებს მე თავის ზეციურ სასუფეველში“ (II ტიმ. 4,18)

ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, ღირსნო მოძღვარნო, დიაკონნო, ბერ-მონოზონნო, საერო დასნო, საყვარელნო დანო და ძმანო!

ქრისტე აღდგა!

ქრისტე აღდგა!–გუგუნებენ ეკლესიის ზარები, ქრისტე აღდგა! დღესასწაულობს ცა და ქვეყანა ქრისტე აღდგა!–სიხარულით ვღაღადებთ ჩვენც და არამიწიერი გრძნობით აღვსილნი ბოროტების ბატონობის დასრულებას ვზეიმობთ.

„სადა არს, სიკვდილო, საწერტელი შენი?

სადა არს, ჯოჯოხეთო, ძლევაი შენი?“ (I კორ. 15,55).

დღეს ყველა ბედნიერია,-მდიდარი თუ ღარიბი, მოხუცი თუ ახალგაზრდა, ჯანმრთელი თუ სნეული... ურწმუნო ადამიანიც კი სხვა გრძნობითაა განმსჭვალული.

–რატომ არის ასეთი ყოვლისმომცველი ეს ზეიმი?

–იმიტომ, რომ მაცხოვარმა აღდგომით ზეცის კარიბჭენი გახსნა ყველასთვის და ადამის მთელი მოდგმა ადამის ცოდვის გამომსყიდველს შეჰხარის.

–მაგრამ რის ფასად მოგვენიჭა ეს ბედნიერება?

„შენთვის ღმერთი შენი ვიქმენ ძედ შენდა; შენთვის უმაღლესი ზესკნელთა გარდამოხვედ ქუეყანად და ქვეყანით შთავხედ ქუეშე ქუეყანისა, რათა ხრწნილებისაგან აღგადგინო,“- ვკითხულობთ დიდი შაბათის საკითხავში.

დიახ „ცოდვის არმცოდნე (უფალი) ცოდვის მსხვერპლი გახდა ჩვენი გულისთვის, რათა მასში ღმერთის სიმართლედ ვქცეულიყავით“ (II კორ. 5.21). ამ მოვლენის არსი რომ ნაწილობრივ მაინც გავაცნობიეროთ, ჯერ სულიერად გოლგოთას უნდა მივეახლოთ, სადაც ჯვარცმულ მაცხოვართან ერთად ორი დამნაშავეა გაკრული ძელზე.

ორივე ავაზაკი ცოდვებით და უკეთურებებით იყო სავსე, მაგრამ სულიერად სრულიად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან.

ერთი შეურაცხყოფდა უფალს და დასცინოდა მას, მეორე კი თავის ხვედრს სამართლიანად მიიჩნევდა და სთხოვდა იესოს შეწყალებას.

დიადი რწმენა! – ასე ახასიათებენ წმინდა მამები მეორე ავაზაკის ამ მდგომარეობას. საადგომო ერთერთ ჰომილიაში ვკითხულობთ: თვით მოციქულებიც, რომლებიც ხედავდნენ უკვე მკვდრეთით აღმდგარ იესოს, კიდევ მერყეობდნენ და დამამტკიცებელ საბუთებს ეძიებდნენ, ჯვარცმულმა ავაზაკმა კი ყველაზე დამამცირებელი სასჯელით დასჯილი ქრისტე იწამა და შესთხოვა: „მომიხსენე მე, უფალო, ოდეს მოხვიდე სუფევითა შენითა“ (ლუკა 23, 42); პასუხად კი მიიღო: „ამინ, გეტყვი შენ: დღეს ჩემთანა იყო სამოთხესა“ (ლუკა 23,43). თავმდაბლობამ, საკუთარ ცოდვათა გაცნობიერებამ და სინანულმა ავაზაკს სულიერი თვალი აუხილა, ჯვარცმულ იესოში მაცხოვარი დაანახა, რაც გახდა მიზეზი ჯვრიდან ზეცაში მისი მსწრაფლ აღყვანებისა.

აქვე მინდა შეგახსენოთ „ქართლის ცხოვრებაში“ დაცული შემდეგი ისტორია: იერუსალიმიდან მოსული მოწვევის თანახმად, დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად და, ამასთან, მაცხოვრის ჯვარცმაზე დასასწრებად წასვლა საქართველოში მცხოვრები ებრაელებიდან, ლონგინოზთან ერთად, მოუწია წმინდა სიდონიას ძმას, ელიოზს;

მათი დედა დიდად წუხდა იმის გამო, რაც შეიძლება წმინდა ქალაქში განვითარებულიყო, რადგან გრძნობდა, უსამართლო განსჯა ხდებოდა მართლისა; ამიტომაც შვილი დაარიგა, არ მიეღო მონაწილეობა მაცხოვრის დასჯაში, რაც ელიოზმა აღასრულა და მცხეთაში მაცხოვრის კვართი სწორედ მან და ლონგინოზმა ჩამოაბრძანეს.

მანამადე კი, პარასკევ დღეს, როცა პასანიკმა (ჯალათმა) კვერი (იგივე ურო) დაარტყა იესოს ჯვარზე მისაჭედებლად, ელიოზის და წმინდა სიდონიას დედა იმდენად თანაზიარა ვნებებს უფლისას, რომ დაჭედების ხმა მას გოლგოთიდან მცხეთას მოესმა, სამსჭვალმა თითქოს გულში გაუარა, ტკივილისაგან სულშეძრულმა „იკრჩხიალა მწარედ“ აღმოთქვა რა: „მშვიდობით, მეფობაო ჰურიათაო, რამეთუ მოჰკალთ თავისა მაცხოვარი და მხსნელი“ და სული განუტევა. ეს არის იესო ქრისტეს, როგორც ჭეშმარიტი ღმერთის, სრული აღიარება და ამასთან, მისთვის პირველი მარტვილობის მაგალითი კაცობრიობის ისტორიაში.

ასე რომ, მაცხოვრის ჯვარცმისას მარადიული ნეტარების ღირსი ორი პიროვნება აღესრულა ქრისტეს რწმენით,–იერუსალიმში ავაზაკი და მცხეთას წმინდა სიდონიას და ელიოზის დედა. წმ.სიდონიას დედა წმინდანად ახლახანს იქნა კანონიზებული საქართველოს ეკლესიის მიერ.

აღვნიშნავთ იმასაც, რომ კეთილგონიერი ავაზაკი ამავე დროს, არის მონანული ქრისტიანის სიმბოლო, რადგან ჩვენ ყველანი ცოდვილნი ვართ ღვთის წინაშე. მართალია, უფლის ნათლისღებით ნათელვიღეთ და განვიბანეთ სულისა და ხორცის ბიწისაგან, მაგრამ ჩვენი დაცემული ბუნების გამო ნათლობის შემდეგაც არ ვიშლით ავ ზნეს და ვნებათა მონა ვხდებით ყოველდღიურად, რაც საუკუნო დაღუპვას გვიქადის.

–როგორ მოვიქცეთ?

–ღმერთს უნდა მივუახლოვდეთ.

–და რა გავაკეთოთ ამისათვის?

–უნდა ვისწავლოთ საკუთარ თავზე დაკვირვება, თითოეული ჩვენი ქმედების სწორი შეფასება, უნდა ვისწავლოთ ანალიტიკური აზროვნება, თეორისა და შავის გარჩევა, რაც საშუალებას მოგვცემს ბოროტს განვეშოროთ და სიკეთეს ვემსახუროთ.

სამწუხაროდ, თუნდაც მორწმუნე, მაგრამ არაეკლესიური ადამიანების უმრავლესობასაც თავდაპირველად ჰგონია, რომ მათ, თითქოს, ცოდვა არა აქვთ, რომ კარგი თვისებებისანი არიან და არაფერი აქვთ სააღსარებო და მოსანანიებელი; მაშინ, როდესაც, მართლაც, წმინდად მცხოვრებნი გულწრფელად მიიჩნევენ, რომ უღირსნია და მათზე ცოდვილი სხვა არავინაა.

–ასე რატომ ხდება?

–შეგახსენებთ აბბა დოროთეს საუბარს ქალაქ ღაზას ერთ წარჩინებულ და ფრიად გავლენიან მოქალაქესთან:

–როგორად მიგაჩნია შენი თავი ამ ქალაქში?–ჰკითხა მას წმინდანმა.

–ფაქტია, ყველა მიცნობს და მაფასებს, –იყო პასუხი.

–თუ კესარიაში წახვალ, იქ როგორად მიიჩნევ შენს თავს? –იქაურ დიდებულთა შორის უმცირესად.

–ანტიოქიაში თუ იქნებოდი?

–ჩვეულებრივ მოქალაქედ.

–და თუ კონსტანტინეპოლში მეფის კარზე მოხვდებოდი?

–გლახაკად და არაფრისმქონედ.

ასე არის ნებისმიერი ადამიანიც,–უთხრა აბბა დოროთემ,–რაც უფრო უახლოვდება ღმერთს, მით მეტად ხედავს თავის არარაობას და უღირსობას.

ხოლო ვინც მისგან შორს არის, თავისი ცხოვრებით თავმომწონეობს.

ჩვენ უნდა დავიწყოთ ჩვენი თავის შეცნობა და ჩვენი სისუსტეებისა და ნაკლოვანებების გაცნობიერება.

როგორც წმინდა მამები აღნიშნავენ, მომაკვდინებელ ვნებები შემდეგია: გემოთმოყვარება, სიძვა, ვერცხლისმოყვარება, მრისხანება, მოწყინება, უიმედობა, დიდებისმოყვარეობა და ამპარტავნება. სხვა ყველაფერი მათგან მომდინარეობს. ამა თუ იმ ცოდვამ ადამიანში თუ ღრმად გაიდგა ფესვი, მას დამღუპველი ზემოქმედება აქვს.

ამიტომაც, ნუ იფიქრებ, რომ თუ შენ, მაგალითად, კეთილი ხარ, მაგრამ ლოთი, ეს ცოდვა მძიმედ არ იმოქმედებს შენს მომავალ ცხოვრებაზე. ან, თუ გონიერი ხარ, მაგრამ შურით სავსე, ეს ხელს არ შეგიშლის ცხონებაში.

„ვინც თქვა არ იმრუშო, ისიც თქვა: არა კაც ჰკლა. ამიტომ, თუ არ იმრუშებ, მაგრამ კაცს მოკლავ, რჯულის დამრღვევი ხარ“ (II ტიმ. 2, 10-11). ამასთან, ვნებებს შორის უხილავი, მტკიცე მიზეზ-შედეგობრივი კავშირია და თუ ადამიანი ერთ-ერთმა მათგანმა ჩაითრია, ის ერთი სხვა ვნებებსაც მოიზიდავს.

თუმცა, როგორც ერთი ცოდვა შობს მეორეს, ასეთივე თვისებისაა ქრისტიანული სიკეთენიც. იცოდე, ერთ ღვთისსათნო საქმეში თუ განმტკიცდები, სხვა სათნოებებსაც შედარებით ადვილად მოიპოვებ.

მოწაფის კითხვაზე: რა გავაკეთო, რომ ღმერთს სათნო ვეყო?

- ცნობილმა ბერმა უპასუხა: განა ყველა კეთილი საქმე კეთილი არ არის? აბრაამი იყო სტუმართმოყვარე და ღმერთი იყო მასთან. დავით მეფე იყო მშვიდი და ღმერთი იყო მასთან, შენც დაუკვირდი, რომელი ქველი საქმისკენ ისწრაფვის შენი სული, აკეთე იგი ღვთის სადიდებელად და სხვა მადლიც განმრავლდება შენში. ოღონდ, უპირველეს ყოვლისა, მოიპოვე სინანული და თავმდაბლობა, რაც არის ქრისტიანული ცხოვრების საფუძველი.

„შეინანეთ“!–ქადაგებდა წმ. იოანე ნათლისმცემელი.

„შეინანეთ, რამეთუ მოახლოებულ არს სასუფეველი ცათა“ (მთ.4.17)–მოუწოდებდა და მოუწოდებს მაცხოვარი და ამასთან გვაფრთხილებს:

„ყავთ ნაყოფი ღირსი სინანულისა,“–რაც ნიშნავს იმას, რომ სინანული ჩადენილი ცოდვის ტოლფასი უნდა იყოს, ანდა ჭარბობდეს მას, თუ გვინდა, რომ აღიხოცოს იგი ჩვენი სულიდან. გავიხსენოთ მეზვერე ზაქე წმინდა სახარებიდან. უფალთან შეხვედრამ იგი ისე შეცვალა, რომ უფალს აღუთქვა მებაჟეობისას ხალხისგან უსამართლოდ წართმეულ ზედმეტს ოთხწილად დაუბრუნებდა უკან ყველას, რადგან იგრძნო თავისი დანაშაულის სიმძიმე.

ღმერთს უყვარს გულწრფელად მონანული ასეთი ადამიანი; უყვარს იმდენად, რომ მისი მოწყალება ფარავს ყველაზე დიდ და მძიმე ცოდვებსაც.

–როგორ მივხვდეთ, ცოდვის ტოლფასია თუ არა ჩვენი სინანული?

–თუ შედეგად ჩვენში ხდება ცოდვასთან სრული განშორება და აზროვნების და ცხოვრების წესის შეცვლა,–მიზნისთვის მიგვიღწევია.

ასეთი სინანული არის სინდისის განმწმენდელი და აღმადგინებელი ძალა, სულიერი სიმშვიდის მომნიჭებელი და სასწაულთმოქმედების უნარის მქონე მადლი, ღვთის მოწყალების გამღები ერთადერთი კარი.

სულიერი თვალის ახელა ზოგიერთ პიროვნებაში ნელ-ნელა ხდება, ზოგიერთში კი– ერთბაშად, თუმცა ორივე შემთხვევაში სიწმინდის შენარჩუნება სერიოზულ ძალისხმევას მოითხოვს.

ამ ბრძოლაში დიდ შეცდომას დავუშვებთ, თუ მხოლოდ ჩვენს თავს დავეყრდნობით, არამედ მუდმივად უნდა ვლოცულობდეთ და უფალს ვუხმობდეთ, რადგან მხოლოდ იგია ბოროტის შემმუსვრელი და ჩვენი განმაძლიერებელი.

არ შევუშინდეთ დროებით წარუმატებლობებს! წმინდა მამები გვასწავლიან, რომ ის კი არ არის საშიში, თუ ვნებები გვებრძვის და ჩვენც ვებრძვით მათ, არამედ ისეთი მდგომარეობა, როცა ვემორჩილებით სხვადასხვა ვნებას და წინააღმდეგობის გაწევის სურვილი აღარ გვაქვს.

უბედურება იმაში კი არ არის, რომ შესცოდე, არამედ იმაში, რომ დაცემულს ადგომა არ გინდა; უბედურება ის კი არ არის რომ ვნებებმა დროებით დაგძლია, არამედ ის, რომ ცოდვაში ცხოვრება მოგწონს და ჯიუტად აგრძელებ ასეთ ყოფას და სხვასაც ღუპავ.

ზოგს მიაჩნია, რომ ღვთის მცნებების დაცვა ძნელია და რადგან ამის უნარი არა აქვს, ურჩევნია, ძველებურად განაგრძოს ცხოვრება, თუმცა იცის, რომ სწორად არ იქცევა. დიდი ნაწილი კი ფიქრობს, რომ მისთვის მთავარია, დღეს, აქ ჰქონდეს ყველაფერი, აქ იგემოს ყველა შესაძლო სიამოვნებაც და განსაცდელიც, რადგან რა იქნება გარდაცვალების შემდეგ, არ იცის და არ ესმის, რატომ უნდა დაიტანჯოს თავი რაღაც გაურკვეველი მომავლისთვის, რომელიც მართლა არსებობს თუ არა, არავინ უწყის.

ასეთად მოაზროვნეთათვის, რა თქმა უნდა, რაიმეს მტკიცებას აზრი არა აქვს. ისინი იმასაც ვერ ხვდებიან, რომ თუ ჩვენ მხოლოდ ამქვეყნიური ცხოვრებისათვის ვიყავით შექმნილნი, მაშინ, წესით, სიკვდილი არ უნდა ყოფილიყო და ჩვენი ყოფაც აქ, ამ მიწაზე დაუსრულებლად უნდა გაგრძელებულიყო.

ხმელეთისა და ზღვისქვეშეთი, ფლორა და ფაუნა, მზის გალაქტიკა (სხვაზე რომ აღარაფერი ვთქვათ) მთელი თავისი ურთულესი მექანიზმებით ნუთუ მარტო იმისთვის შეიქმნა, რომ ჩვენ ამ გარემოში 40, 80 თუ 100 წელი დავყოთ მხოლოდ და მერე უკვალოდ გავქრეთ? ეს ხომ უაზრობაა.

7

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის
სააღდგომო ეპისტოლე

„დამიხსნის მე უფალი ყოველი ბოროტი საქმისაგან და მაცხონებს მე თავის ზეციურ სასუფეველში“ (II ტიმ. 4,18)

6

ნუ მივემსგავსებით მაცხოვრის გვერდით ჯვარცმულ იმ ავაზაკს, რომელმაც მთელი სიცოცხლის მანძილზეც და ძელზე ყოფნისასაც ვერ გაიგო, რა იყო სიცოცხლის აზრი, ვერც ქრისტე შეიცნო, და კიდევ უარესი,–ბოლომდე შეურაცხყოფდა და დასცინოდა მას. ღმერთმა ყველა დაიფაროს ამ მდგომარეობისგან.

თუ ძელზედ გაკრული მეორე ავაზაკი სიმბოლოა მორწმუნე და მონანული საზოგადოებისა, ეს ავაზაკი სახეა ურწმუნო და უგულისხმო, სინანულის არმქონე ხალხისა. ჩვენ რომელ ავაზაკს ვგავართ? როგორი იქნება ჩვენი ჯვარი,–გადამრჩენელი, თუ წარმწყმედელი?

„ამქვეყნიური ჩვენი ყოფა ქარვასლას ჰგავს, სადაც ყველაფერი იყიდება,–წერენ წმინდა მამები,–წარუვალი ბედნიერების შეძენა თუ გსურთ, წარმავალი დროებითი სიკეთენი უნდა დათმოთ, რადგან იგი მხოლოდ ასეთი საფასურით მოიპოვება; მაგრამ თუ ამ შესაძლებლობას ახლა ხელიდან გაუშვებთ, მას სამუდამოდ დაკარგავთ, რადგან ასეთი საშუალება აღარასოდეს გვექნება“.

როდესაც ვსაუბრობთ, რომ დროებითი სიკეთენი უნდა დავთმოთ მარადიული ნეტარებისთვის, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მორწმუნე ადამიანი (საერო თუ სასულიერო პირი) ამქვეყნიურ ცხოვრებას მუდმივ მწუხარებაში ატარებს; სულაც არა. ცოდვასთან და სხვადასხვა ბოროტებასთან სულიერი ბრძოლა თუ ხდება ლოცვითა და ღმერთზე მინდობით, უფალთან უხილავი, მაგრამ რეალური ისეთი კავშირი მყარდება, ისეთი სხვა განცდა შემოდის, რომ იგი თავისი სიძლიერით ფარავს ნებისმიერ ტკივილს. ამიტომაც ამბობენ, რომ ამგვარად მცხოვრებთათვის სამოთხე დედამიწიდან იწყებაო.

დიახ, ადამიანი ბედნიერებისათვისაა შექმნილი და ამას ესწრაფვის იგი მაშინაც, როდესაც ვნებებს ემონება და მაშინაც, როდესაც ცოდვებს განეშორება.

ვისაც ცოდვის მორევში ყოფნა მოსწონს და ამაში ჰპოვებს მხოლოდ სიამოვნებას, მისთვის გაუგებარი და მიუღებელია ის სიხარული და ნეტარება, რომელსაც ჯვარცმული იესო გვთავაზობს.

მას სხვა ვერაფრით დავეხმარებით, გარდა ლოცვისა და ჩვენც შევთხოვოთ აღდგომილ მაცხოვარს, ყველას გაუნათოს გული და გონება წარუვალი ბედნიერების შესაგრძნობად.

როგორც აღვნიშნეთ, ქრისტიანული ცხოვრება სერიოზული პრობლემების დაძლევას გულისხმობს. რა თქმა უნდა, ამ გზაზე ხშირად გვხვდება ცილისწამება, ღვარძლი, გაჭირვება, შური... და დგება ისეთი მომენტებიც, როცა ჩვენც აღმოგვხდება: „მამაო ჩემო! თუ შესაძლებელია, ამარიდე ეს სასმისი“ (მთ. 26,39), ანდა „ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რაისათვის დამიტევებ მე“ (მთ. 27,46), მაგრამ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ღმერთი იმაზე დიდ ჯვარს არ მოგვცემს, რისი ტვირთვაც არ ძალგვიძს. ამიტომაც, გაჭირვების ჟამს მასვე უნდა მივმართოთ, სულიერი ღვაწლი განვაძლიეროთ და პრობლემები მალევე დაიძლევა.

გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობს!

ხოლო ის, ვინც სისუსტის, შიშის თუ სხვა რაიმე მიზეზის გამო თვითმკვლელობით ამთავრებს სიცოცხლეს, რთულ სიტუაციას კი არ განერიდება, არამედ მარადიული ტანჯვის მორევში შედის. ამიტომაც, ვისაც ასეთი ფიქრები გაუჩნდება, მსწრაფლ უნდა მოიშოროს თავიდან, მოძღვართან მივიდეს, აღსარება თქვას, რათა სულიერად განმტკიცდეს და ბოროტის მარწუხებისგან თავი დაიცვას.

სამწუხაროდ, ბოლო დროს თვითმკვლელობის ფაქტები განსაკუთრებით გახშირდა გარდამავალი ასაკის ახალგაზრდებს შორის.

მათში ემოციური ფონი გაძლიერებულია. ამასთან, გარემოს შეცნობისა და ძიების პროცესი მიმდინარეობს, რასაც შეიძლება არასწორი მიმართულება მიეცეს. ამიტომაც, ჩვენს გოგონებსა და ვაჟებს ამ პერიოდში მშობლებისაგან მეტი ყურადღება სჭირდებათ. მართალია, ეკონომიურმა გაჭირვებამ დედაც და მამაც აიძულა, რომ ლუკმა-პურის საშოვნელად მთელი დღე სახლის გარეთ დაჰყონ, მაგრამ შვილზე მზრუნველობა უმთავრესია და აქ, როგორც ქალის, ისე მამაკაცის, პასუხისმგებლობა თანაბარია.

მოზარდებისათვის ყურადღების მიქცევა მკაცრ მოპყრობას არ გულისხმობს. პირიქით, ეს ისეთი ასაკია, როდესაც თქვენ, მშობლები, მათ მეგობრად უნდა ექცეთ, მეტი სითბო აჩვენოთ, დაინტერესდეთ მათი მიზნებით, ცხოვრების წესით, სამეგობრო წრით, რომ თანამდგომად მიგიღონ და გულახდილნი გახდნენ. ეს თქვენთვისაც აუცილებელია და მათთვისაც.

აქვე შევეხები ქუჩის ბავშვების პრობლემას. ისინიც ჩვენი ხვალინდელი დღის შემომქმედნი იქნებიან და, ბუნებრივია, მეტად მნიშვნელოვანია, თუ როგორ პიროვნებებად ჩამოყალიბდებიან.

უკვე 21 წელია ამ მიმართულებით იღვწის ჩვენი ეკლესია; სათანადო ორგანიზაციები, არასამთავრობო სექტორი, ხელისუფლება ამ თემაზე კარგახანია სერიოზულად მუშაობს. ჩვენ მზად ვართ მომავალშიც, შესაძლებლობისამებრ, გვერდში დავუდგეთ მათ. უმეთვალყურეოდ დარჩენილი პატარები ქუჩაში არ უნდა ცხოვრობდნენ და ამას მალე უნდა მივაღწიოთ.

ეკლესიას დიდი სურვილი აქვს, მზრუნველობა გაუწიოს იმ ახალგაზრდებს, რომელთაც ასაკის გამო ბავშვთა სახლებში აღარ აჩერებენ, წასასვლელიც არსად აქვთ და არც ცხოვრებისთვის არიან მომზადებულნი.

ჩვენ გამოვყავით როგორც ტერიტორია, ასევე შენობა და არასამთავრობო სექტორთან, ჯანდაცვის სამინისტროსა და მერიასთან თანამშრომლობით ვფიქრობთ, აქ გავხსნათ სახელობო-პროფესიული სასწავლებელი, სადაც 18 წლის გოგონებისა და ვაჟების გარკვეული რაოდენობა 23 წლამდე იცხოვრებს კიდეც და დამოუკიდებელი არსებობისთვისაც მოემზადება.

ეს, რა თქმა უნდა, მეტად მცირეა იმ საქმესთან შედარებით, რაც გასაკეთებელია, როგორც ეკლესიის, ისე სახელმწიფოს მხრიდან.

მრავალ პრობლემას ეშველება, თუ მოსახლეობა დასაქმდება, თუ მცირე ბიზნესი განვითარდება და სოფლის მეურნეობა აღორძინდება. მეტი გასაქანი უნდა მიეცეს მინანქრის, ოქროსა და ვერცხლის დამუშავებას, მზისა და ქარის ენერგიის გამოყენებას, წყლის ექსპორტს, კერამიკის, შუშისა და თიხის წარმოებას, მცირე ჰესების მშენებლობას, ტურიზმს და სხვა.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ დღეისთვის საქართველოს შემოაქვს სოფლის მეურნეობის კვების პროდუქტების 80%; არადა ქვეყანას აქვს რეალური შესაძლებლობა იმისა, რომ სრულად დააკმაყოფილოს მოსახლეობის მოთხოვნილება და მის გატანაზეც იფიქროს. ამისთვის კი, უნდა გაძლიერდეს როგორც ოჯახური მეურნეობები და წახალისდეს სხვა კერძო ინიციატივები; ადგილზე უნდა აშენდეს გადამამუშავებელი მცირე საწარმოები, შეიქმნას მექანიზებული ჯგუფები, რომლებიც სოფლებს მოემსახურებიან.

სასურველი იქნება, თუ თითოეულ რეგიონს თანხის გარკვეული რაოდენობა გამოეყოფა და თავდაპირველად სახელმწიფოვე იზრუნებს გასაღებაზე ორიენტირებული და ამ მხარისათვის ყველაზე მომგებიანი მიმართულებების განვითარებაზე. მოსახლეობას ბიძგის და ორიენტაციის მიცემა სჭირდება, გონივრული დახმარება უნდა, რომ თავისი შრომის ნაყოფი დაინახოს და იგრძნოს, რომ მისი საქმიანობა შედეგის მომტანია.

მაშინ ქვეყანა მალევე დაიწყებს აღორძინებას და ხალხში შრომის სიყვარული აღდგება. საყოველთაო ჯანდაცვა, მთის კანონი, სოფლის მეურნეობის განვითარების მიზნით დაგეგმილი ღონისძიებები იმედით განგვაწყობს, თუმცა მათ მიერ განსახორციელებელი დახმარებების თაობაზე ხალხის ინფორმირებულობა მეტი უნდა იყოს, რომ მოსახლეობამ სრულად გამოიყენოს არსებული შესაძლებლობები. ჩვენთვის ამ ქვეყნად მოცემული სიცოცხლის დრო უდიდესი დატვირთვისაა, რადგან ყოველი ადამიანისათვის ამ პერიოდში ხდება მარადიული ნეტარების მოპოვება ან დაკარგვა. სწორად რომ ვიცხოვროთ, ფიზიკური, ინტელექტუალური და სულიერი შრომა უნდა შევუთავსოთ ერთმანეთს და ამასთან, უნდა ვიცოდეთ ისიც, რომ ყოველ დროს თავისი მახასიათებელი აქვს. იგი ამა თუ იმ მიმართულებას ხელს უწყობს, ან უგულებელჰყოფს. უნდა გავაცნობიეროთ, როგორია ჩვენი დროის შემოთავაზება, რომ ადვილად განვსაზღვროთ ჩვენი ადგილი ამ სამყაროში და ვუპასუხოთ მის გამოწვევებს.

თანამედროვეობამ “სიახლის” სახელით წინ წამოსწია “მეს” პრინციპი, გართობა, ბუნდოვანი აზროვნება, ვულგარული მეტყველება, აქცენტი ნაწილზე და არა მთელზე... ანუ ის, რასაც არა აქვს დიდი დატვირთვა და სიღრმე.

სანაცვლოდ, დამამცირებლად წარმოაჩენენ ისეთ ცნებებს, როგორიცაა ჭეშმარიტება, ღირსება, გონიერება, სამშობლო, მოყვასი და სხვა.

ასეთი ტენდენციები ახალგაზრდას პიროვნებად კი არა, მასის ნაწილად აყალიბებს და საშუალო დონის, ყველაფრის შემგუებელ არსებად აქცევს, რომელიც ცხოვრობს დღევანდელი დღით და მომავალი არ აინტერესებს.

შენ არ აჰყვე წუთისოფლის დინებას და მისგან შემოთავაზებულ განწყობას. ამა სოფლის სული არის სული სიცრუისა. იგი დღეს ერთ რამეს განადიდებს, ხვალ სხვას. განა ჩვენ მოწმენი არა ვართ იმისა, რომ რაც საზოგადოების ნაწილს 10-20-40 წლის წინ კარგად და მისაბაძად მიაჩნდა, დღეს მას დასცინის?! ასევე იქნება ცოტა ხნის შემდეგ იმ „ფასეულობების“ მიმართ, რასაც იგი დღეს ხოტბას ასხამს. შენ იფიქრე მარადიულ ღირებულებებზე და ეცადე, შენი მეობა, შენი ღირსება არასოდეს დაკარგო. უფლის მცნებები იყოს შენი წარმმართველი. ეცადე შენი შესაძლებლობის მიხედვით მაქსიმუმი გაიღო. ამასთან, ზომიერება შეინარჩუნე, გააკეთე ისე, რომ შენმა სწორმა ქმედებამ სიხარული მოგიტანოს და არა შფოთი და ასე, ნელ-ნელა განმტკიცდები სათნოებებში.

მიემსგავსე ლოტს, რომელიც ცხოვრობდა სოდომში, სადაც ყველა უკანონობას სჩადიოდა, მაგრამ იგი სხვებივით არ იქცეოდა, არამედ აკეთებდა იმას, რაც ღვთისთვის სათნო იყო, ამიტომაც გადარჩა.

ისწავლე ლოცვა!

ლოცვა საუბარია ღმერთთან, გულისნადების მის წინაშე განფენაა, საკუთარი თავის მის შვილად შეცნობა და ღვთის მადლისა და შეწევნის მოპოვებაა; თუმცა სულიერი შრომა მარტო ლოცვას არ გულისხმობს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს, რა თქმა უნდა, აგრეთვე, არის სწორი სულიერი აზროვნება და სულიერი ცხოვრება. ეს რომ შევძლოთ უფლის მხსნელ მარჯვენას ხელი უნდა ჩავჭიდოთ და მასთან ვიყოთ განუშორებლად.

მაშ, არ შევუშინდეთ დაბრკოლებებს, არ შევწყვიტოთ ბრძოლა განწმენდისათვის და ვიცოდეთ, რომ როგორი დაცემულიც არ უნდა ვიყოთ, უფალს ვუყვარვართ და გველოდება,ელოდება ჩვენს სინანულს; ამიტომაც ბრძანებს: „არ მოვსულვარ მართალთა მოსაწოდებლად, არამედ ცოდვილთა სინანულისთვის“ (მთ.9,13), „მოვედით ჩემდა ყოველნი მაშვრალნი და ტვირთმძიმენი და მე განგისვენოთ თქვენ“ (მთ.11,28), „რამეთუ უღელი ჩემი ტკბილ არს, და ტვირთი ჩემი სუბუქ არს“ (მთ. 11,30).

ოღონდ ნაბიჯის გადადგმა არ გადავდოთ ხვალისათვის, რადგან ეს ხვალე შეიძლება აღარ დადგეს.

თითოეულ ჩვენგანს სასწაულთმოქმედების უდიდესი უნარი გვაქვს; თუ ღმერთს მივეახლებით და ცოდვებისაგან განვთავისუფლდებით, ჩვენს სულში დიდი ცვლილების მომსწრენი გავხდებით. ამისი მაგალითნი არიან წმინდანები. ისინიც ისეთივე ჩვეულებრივი ადამიანები იყვნენ, როგორიც ჩვენ ყველანი, ბევრ მათგანს ადრე ჩვენზე არანაკლები სისუსტეებიც შეიძლება ჰქონდა, მაგრამ სინანულით, აღსარებით, ზიარებით და სულიერი ღვაწლით ზეციურ სასუფეველს მიაღწიეს. ამიტომაც წერს ნეტარი ავგუსტინე, წმინდანთა რიცხვი ყოფილ ცოდვილთა რიგებიდან მრავლდებაო.

მაშ, შევიმოსოთ სიხარული, ქართველნო, აფხაზნო, ოსნო, ბერძენნო, რუსნო, უკრაინელნო, ებრაელნო, აზერბაიჯანელნო, სომეხნო, ასირიელნო, უდინნო, ქისტნო, ჩეჩენნო, ლეკნო, ქურთნო, იეზიდნო და ყოველნო მკვიდრნო ივერიისა და უცხოეთში მცხოვრებნო თანამემამულენო!

მაცხოვარი დღეს იმედით აღავსებს მთელ სამყაროს; თითოეულმა ჩვენგანმაც ვიქონიოთ სასოება იმისა, რომ: „დამიხსნის მე უფალი ყოველი ბოროტი საქმისაგან და მაცხონებს მე თავის ზეციურ სასუფეველში“. ქრისტე აღდგა!

აღვდგეთ და ამიერიდან ჩვენც „წარვიდეთ სიკვდილისაგან ცხოვრებად, წარვიდეთ ხრწნილებისაგან უხრწნელებად, ბნელისაგან ნათლად, მონებისაგან თავისუფლებად, რათა ვიხაროთ ორსავ სოფელსა შინა,

ამინ!

თქვენთვის მლოცველი

ილია II

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

თბილისი, აღდგომა ქრისტესი

2016 წელი

1945 ---------- 2016

„არავინ და არაფერია დავიწყებული“

მეორე მსოფლიო ომის უკანასკნელი ზალპებიდან შვიდ ათეულ წელზე მეტი გავიდა. განვლილ პერიოდში ახალი თაობები გაიზარდა, მაგრამ თითოეული ადამიანის გონებასა და გულში უფრო შთამბეჭდავად იკვეთება ხსოვნა და სიდიადე იმ გმირობისა, რომლებიც ჩვენმა ხალხმა გამოიჩინა მთელი მსოფლიოს მილიონობით ადამიანის გადარჩენისთვის, ვინც თავისი მხრებით ზიდა ომის მთელი სიმძიმე და პირადი წვლილი შეიტანა კაცობრიობის უბოროტესი მტრის, ფაშიზმის დამარცხებასა და მშვიდობის დამკვიდრებაში.

ტრადიციისამებრ, 9 მაისს, ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის ორგანიზებით ხეთის მხარეთმცოდნეობისა და დიდების მუზეუმში ომში მონაწილე ვეტერანებისთვის საზეიმო ღონისძიება გაიმართა. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა, ომის ვეტერანებმა, კაპიტონ ცხადაიამ, ოთარ კობახიძემ და სათილი მეგობრის სხეული, ვერ დაივიწყებს ამ ოთხ უმძიმეს წელიწადს და ვერც დიდებული გამარჯვების მაცნეს და მაუწყებელს, ცხრა მაისი რომ ჰქვია. ასევე თავს უფლებას ვერ მივცემთ, რომ არ მოვეფეროთ და არ გავამხნევოთ შინ

დაბრუნებული ფრონტელები, რომლებიც, სამწუხაროდ, ჩვენს მუნიციპალიტეტში ოთხიღა შემოგვრჩა, კაპიტონ ცხადაია, ოთარ კობახიძე, გრიგოლ ლეფსაია და ვალიკო ჭითანავა.

ზოგადოების სხვა წევრებმა ყვავილებით შეამკეს ძმათა საფლავები. მართალია, ელფერი და ბრწყინვალება თითქოს გაფერმკრთალდა, ომის მონაწილეთა რიგებიც საგრძნობლად შეთხელდა, მაგრამ ომის ვეტერანი, ვისაც საკუთარი თვალით უხილავს ტყვიისგან დაცხრილული, თუ ჭურვის ნაგლეჯისგან დაფლეებანოიძემ, ირაკლი შენგელიამ და საბა სარჩიმელიამ.

„ღიმილის ბიჭი ვიყავი“ ჩვეული ოსტატობით წაიკითხა რამაზ ლოლუამ, „ფორე მოსულიშვილს“–ბადრი ლომაიამ, სიმღერა „შავლეგო“ დააგუგუნა ანსამბლმა „კოლხეთმა“.

მისასალმებელი სიტყვით გამოვიდნენ ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა ქაჯაია და მუნიციპალიტეტი საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა. ვალმოხდილ მეომრებს დიდი მოკრძალებითა და პატივისცემით მიულოცეს ფაშიზმზე გამარჯვების 71-ე წლისთავი და უსურვეს არ მოკლებოდეთ ღვთის ლოცვა-კურთხევა, მშობელი ხალხის გვერდით კვლავაც დიდხანს დგომა.

ომის ვეტერანებს საჩუქრად პირად ანგარიშზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან ჩაერიცხათ 600 ლარი, ხობის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 150 ლარი,

ხოლო შ.პ.ს. „შავი ზღვის ტერმინალის“ წარმომადგენლებმა ქეთევან ოდიშარიამ და ვაჟა ბუკიამ ტრადიციისამებრ 100 ლარი გადასცეს მათ.

ღონისძიების დასასრულს, დამსახურებულ პიროვნებას, ვეტერანს ბატონ ოთარ კობახიძეს გავესაუბრე და ვკითხე რას ნიშნავდა ეს დღე მისთვის.

–ეს არის ბედნიერება. 1945 წლის 9 მაისი მთელი მსოფლიოს ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაიწერა, როგორც ფაშიზმზე გამარჯვების დღე და რაოდენ სასიხარულოა, რომ ამ გმირული ეპოპეის ცოცხალი მატიანე გახლავართ.

მადლობა თითოეულ თქვენთაგანს, მადლობა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს, შავი ზღვის ტერმინალის ხელმძღვანელებს, ყველას, ყველას ვინც დაგვაფასა და მოგვილოცა, ამით კიდევ უფრო გაგვიხანგრძლივეს სიცოცხლე.

რედაქციელები ვუერთდებით, ამ დიდ სიხარულს და თითოეულ ვეტერანს ვულოცავთ გამარჯვების დღეს, ვუსურვებთ კიდევ მრავალჯერ დასწრებოდნენ ცხრამაისობას გამთლიანებულ საქართველოში.

„არავინ და არაფერია დავიწყებული“

ჩვენ ვამაყობთ თქვენით.

ნაირა ბერაია.

ვეტერანი_მეგობრების გარეშე...

მსოფლიო ისტორიაში 9 მაისი შევიდა, როგორც ფაშიზმზე გამარჯვების დღე, რომელსაც მთელი მსოფლიო ზეიმობს.

ფაშიზმზე გამარჯვებისთვის ბრძოლაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოს მოსახლეობამ. საქართველომ მთელი ომის მანძილზე 700 000 კაცი გაიწვია ფრონტზე და აქედან 300 000 მეტი შინ არ დაბრუნებულა.

ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში თავისი წვლილი შეიტანეს ჩვენი რაიონის წარმომადგენლებმა. სოფელ პირველი მაისიდან ასეულობით ახალგაზრდა წავიდა ფრონტზე, საიდანაც ნახევარზე მეტი არ დაბრუნებია საკუთარ ოჯახს. ისინი გმირულად დაეცნენ ბრძოლის ველზე.

ბევრი ჩამოვიდა და ცხოვრება გააგრძელა. მათგან ერთ-ერთი იყო 19 წლის პირტიტველა ვაჟკაცი ვალიკო ჭითანავა, რომელიც მალევე ჩაება ბრძოლაში და ბევრი მწარე დღეების გამოვლა მოუწია.

1941 წლიდან ომის დამთავრებამდე ბრძოლებით მოიარა რუსეთისა და ევროპის ქალაქები. გადამწყვეტი ბრძოლა მიმდინარეობდა ბერლინის მისადგომებთან, სადაც ვალიკო მძიმედ დაიჭრა, მაგრამ მალე გამარჯვების ზარმაც ჩამოჰკრა და ის გამარჯვებული დაუბრუნდა თავის ოჯახს, ცხოვრება გააგრძელა და სამშობლოს სამი სასახელო შვილი გაუზარდა.

ბატონი ვალიკო ფაშიზმზე გამარჯვების 71 წლისთავს მოესწრო. ის 94 წლისაა. დასანანია, რომ მას ომის მონაწილე მეგობრები არავინ შემორჩა. მან ჩემთან საუბარში სინანულით აღნიშნა, რომ „სულ რაღაც სამი ათეული წლის წინათ სოფელ პირველ მაისში 35 ომის ვეტერანი ვიყავით და არც ერთი 9 მაისი ისე არ გავიდოდა, რომ ჩვენ ერთად არ შეკრებილიყავითო“, ხოლო წელს ის ერთადერთი ომის ვეტერანია სოფელ პირველ მაისში, რომელიც მეგობრების გარეშე ხვდება ამ დღეს.

ბატონო ვალიკო! გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდი ხნის სიცოცხლეს მრავალ 9 მაისს მოგასწროთ ბუნების ძალამ.

გიგლა კვიკვინია.

მოგონებები ომზე

იმ ქარცეცხლიან დღეებში

(1941-45 წლებში სამამულო ომის დროს განვლილი გზა)

მეორე მსოფლიო ომი, ყველაზე საშინელი ომი იყო მსოფლიო ისტორიაში. თითქოს „ყავისფერმა ურჩხულმა“ დაფარა ევროპა. ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლაში ჩვენი ქვეყანაც ჩაერთო, ჯარისკაცის ფარაჯა ჩაიცვა მუშამ, გლეხმა, ინტელიგენციამ.

ამ ომში, სხვებთან ერთად, რა თქმა უნდა ბიელებიც მონაწილეობდნენ. 166 ვაჟკაცი გააცილა პატარა სოფელმა ფრონტზე, აქედან 89 ვერ დაუბრუნდა მშობლიურ კერას.

ყოველი განვლილი წელი, სულ უფრო გვაშორებს დიდი სამამულო ომის პერიოდს, მაგრამ ჩვენი გმირების ხსოვნა, არასოდეს მიეცემა დავიწყებას. იყო ისეთი ოჯახები, საიდანაც ორი, სამი და მეტი ოჯახის წევრი იყო გაწვეული ფრონტზე, ზოგი დაბრუნდა, ზოგმა კი ბრძოლის ხაზზე ჰპოვა მარადიული განსასვენებელი.

ჩემი პირადი არქივიდან, ამოვარჩიე ორი ძმის–ევსევ და ვლადიმერ ბესარიონის ძე იოსავების პირადი მოგონებები საბრძოლო ისტორიებზე, რომლებიც ერთად იბრძოდნენ ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ. საბედნიეროდ, ორივენი ცოცხლები დაბრუნდნენ ომიდან და სახელოვნად გააგრძელეს მშვიდობიანი ცხოვრება.

ამჟამად ისინი მშობლიურ მიწაში განისვენებენ. მე კი გთავაზობთ მათ მიერ განვლილი საბრძოლო ცხოვრების ეპიზოდებს, რომლის ავტორებიც თვითონ არიან.

ვლადიმერ იოსავა:

1936 წელს სამხედრო სავალდებულო სამსახურში ვიმყოფებოდი. მონღოლეთის საზღვარზე, მონაწილეობა მივიღე ხასანის ტბის რაიონში წარმოებულ ბრძოლებში.

1941 წელს, სამამულო ომის გამოცხადების პირველსავე დღეებში, მობილიზებული ვიყავი სამშობლოს დასაცავად. პირველი საბრძოლო ნათლობა ოდესის მისადგომებთან მივიღე, ვირიცხებოდი 115-ე გამრღვევი ბრიგადის 12-32 კუტუზოვის ორდენოსან კრივოიროგის სახელობის ლეგიონში. ვიყავი მზვერავ-რადიო ტელეგრაფისტი.

1942 წლის ოქტომბერში 115-ე გამრღვევი საარტილერიო ბრიგადა შავიზღვის სანაპიროს გავლით გადასროლილიქნა ქ. ორჯონიკიძეში მოზდოკის მისადგომებში. 1942 წლის 14 ოქტომბერს გაიცა მთავარსარდლის მარშალ ი.ბ. სტალინის ბრძანება „არც ერთი ნაბიჯი უკან“. ამ ლოზუნგით 15-16-17 ოქტომბერს მოზდოკის ფრონტზე დაიწყო შეუპოვარი შეტევითი ბრძოლები, ამ ბრძოლებით საბჭოთა ჯარებმა მოზდოკს 160 კილომეტრით მოწყვიტეს მტერი. აქედან მოყოლებული მტერს არ მიეცა გამაგრების საშუალება. მას ვსდიეთ ბერლინის მისადგომამდე. იმ საარტილერიო ნაწილმა, სადაც მე ვირიცხებოდი სხვადასხვა სახეობის ჯარების მხარდაჭერით გერმანელთა მონობისგან გაათავისუფლა მოზდოკი, კუბანის მხარე, უკრაინა, მოლდოვეთი, ბესარაბია, რუმინეთი, ავსტრია, ბულგარეთი და უნგრეთი. მტერზე გამარჯვება ბერლინის მისადგომებთან ვიზეიმეთ. მთავარსარდლის, მარშალის ი.ბ. სტალინის ბრძანებით ყველა სახეობის საბჭოთა ჯარებს, რომელიც ბერლინიდან 50 კილომეტრის შიგნით იმყოფებოდა. საზეიმო მარშით უნდა გაევლო ბერლინის დაცემული რაიხსტაგის ზღუდე-სადაც მოთავსებული იყო ჰიტლერის გენ-შტაბი.

რუსი ხალხის შვილებთან ერთად, მეც მივიღე მონაწილეობა საპარადო ალღუმზე. ავსტრიის დედაქალაქ ვენის და უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტის განთავისუფლებისთვის მიღებული მაქვს მედლები „ვენა“, „ბუდაპეშტი“. მიღებული მაქვს მთავრობის ჯილდოები–ორი სიგელი, ერთი ი.ბ. სტალინის ხელმოწერილი და მეორე სახმელეთო ჯარების პოლიტსაქართველოს მიერ მტერზე გამარჯვების დღესთან დაკავშირებით. ასევე სხვადასხვა ერის შვილებთან ერთად 14-ჯერ ვარ მოხსენიებული მთავარსარდალ ი.ბ. სტალინის მადლობის ბრძანებაში. მსუბუქად დაჭრილი ვარ ერთხელ ნევრასტირებული ვიყავი ორჯერ.

1945 წლის დეკემბერში ვყავი დემობილიზებული და დავბრუნდი სახლში.

ევსევი იოსავა:

დავიბადე 1910 წელს, 1926 წელს დავამთავრე საშუალო სკოლის სრული კურსი, ხოლო 1933 წელს თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი–აგრონომის სპეციალობით. ომის დაწყებამდე ვმუშაობდი ქედის, გურჯაანის და ხობის რაიონების მთავარ აგრონომად.

ინსტიტუტი, რომელიც მე დავამთავრე, გასამხედროებული იყო, ამიტომ მონიჭებული მქონდა მეთაურის წოდება. 1941 წელს, ომის დაწყებისთანავე გამიწვიეს არმიაში და 1942 წლის მაისამდე ჯერ თბილისში, შემდეგ კი ლენინგრადსა და ერევანში რიგით ჯარისკაცებს ვამზადებდით ფრონტზე გასაგზავნად.

1942 წლის გაზაფხულზე მოხდა 414-ე ქართული დევიზიის ფორმირება და მე, როგორც მეთაური, გამაგზავნეს ასეულის მეთაურის თანამდებობაზე. 414-ე დივიზია ფორმირდებოდა დაღესტანში, ქალაქებში მახაჩქალასა და ბუინაკსში. აგვისტოს თვემდე, ჯარის ფორმირებას და ჯარისკაცთა მომზადებას მოვუნდით, ხოლო 1942 წლის აგვისტოდან ბრძოლებში ჩავებით, პირველად, კავკასიის მაღალ მთებში გადმოსულ გერმანელ დესანტთა განადგურებაში მივიღეთ მონაწილეობა, შემდეგ იყო გროზნოს დაცვა, გერმანელთა ე.წ. კავკასიის „ცისფერ ხაზთა“ გამაგრების ლიკვიდაცია. თერგის სანაპიროზე, ქალაქ იშორსკაიაზე დიდი ბრძოლები ჩავატარეთ გერმანელთა გასანადგურებლად. ამ ბრძოლებში მივიღე პირველი ჭრილობა, გამოჯანმრთელების შემდეგ ისევ 414-ე დივიზიაში დამაბრუნეს. მონაწილეობა მივიღე მოზდოკის განთავისუფლებაში. ამის შემდეგ ზურგშექცეულ გერმანულ ურდოებს კვალდაკვალ მივსდევდით. ისინი ადვილად არ ტოვებდნენ პოზიციებს და გამარჯვება გვიწევდა დიდი მსხვერპლის ფასად. თავდაუზოგავი ბრძოლების შედეგად გავათავისუფლეთ კისლოვოდსკი, პიატიგორსკი, არმავირი და ყუბანის ბევრი დასახლებული პუნქტი.

1943 წელს, ჩვენი დივიზია შეყვანილიქნა მე-18 არმიის შემადგენლობაში, მონაწილეობა მივიღეთ ნოვოროსიისკის, ანაპის და ტამანის ნახევარკუნძულის გასათავისუფლებად გამართულ სასტიკ ბრძოლებში. ტამანის მისადგომებთან ხელმეორედ დამჭრეს, ხოლო ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ ისევ 414-ე დივიზიაში დავბრუნდი და მონაწილეობა მივიღე აზოვის ზღვის გადალახვაში, ქერჩისა და სევასტოპოლის განთავისუფლებაში, 1944 წლის დასასრულს, ჭრილობების გართულების გამო დემობილიცაზია გამიკეთეს და შინ დავბრუნდი.

გამაჩნია მთავრობის თორმეტი ჯილდო.

1945 წლიდან ჩემს მშობლიურ რაიონში ვმუშაობდი სხვადასხვა თანამდებობებზე. რაიაბრეშუმის გამგედ, ტექკულტურების განყოფილების გამგედ, ხიბულის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორად, ხეთის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის განყოფილების მმართველად, ს/მ „განთიადის“ მთავარ აგრონომად, შუა ხორგის სამკურნალო მცენარეთა მეურნეობის მთავარ აგრონომად. ვარ სამამულო ომის II ჯგუფის ინვალიდი 1967 წელს მომენიჭა დამსახურებული აგრონომის წოდება.

მოამზადა მანანა შულაია.

გამოსათხოვარი

რომან გვასალია

პოლიციელთა დიდ არმიას კიდევ ერთი, ლამაზი წარსულის მქონე ადამიანი გამოაკლდა...

რომან გვასალია–კაცი, რომელიც თავისი ადამიანური თვისებებით, მაღალი პასუხისმგებლობით, პრინციპულობით, თუნდაც ფიზიკური აღნაგობით გამორჩეული იყო ყველგან და ყველაფერში. იგი წლების განმავლობაში მუშაობდა შ.ს.ს. ხობის რაიონული განყოფილების ადმინისტრაციული პოლიციის საპატრულო-საგუშაგო სამსახურში და იყო ახალგაზრდა თანამშრომლებისთვის სანიმუშო, სამშობლოს სიყვარულისა და ერთგულების მაგალითის მიმცემი.

რომანი იმითაც იყო გამორჩეული, საოცარი თანადგომა იცოდა, რომ იტყვიან, სხვისი ჭირისა და ლხინის მოზიარე იყო, გულის სითბოს ჩუმად ანაწილებდა, ისე უხმაუროდ, როგორც იცხოვრა...

დიდი ოჯახის მამა და ბაბუა სიყვარულით მხრებდამძიმებული წავიდა ამქვეყნიდან. შვიდ ათეულს ვერ გადააბიჯა, სექტემბერში დაგეგმილ იუბილეს უფალის ნებით განერიდა...

როცა შვილებსა და შვილიშვილებზე საუბრობდა, თვალებში „სხვა სხივი“ უდგებოდა–სიამაყის სხივი. ამის საბაბი ნამდვილად ჰქონდა, ოთხი შვილი ქვეყნისა და ხალხის სამსახურში ჰყავდა...

რომ იტყვიან, ბედნიერი კაცი იყო, შვილთაშვილსაც მოესწრო...

წინ უამრავი ლამაზი და ბედნიერი დღე ელოდა, მაგრამ უფალმა ასე ინება, ბრწყინვალე შვიდეულში სამოთხისკენ უწინამძღვრა...

დასანანია რომან გვასალიას ამქვეყნიური ცხოვრების დასასრული. ამიტომაც სიყვარულით ვეფერებით და გულისტკივილით ვეთხოვებით

შ.ს.ს. ხობის რაიონული სამმართველოს თანამშრომლები.

„და ამინ, სუფევა თქვენი, პატონო რომან!“

რომან გვასალიას პიროვნებას თუ ვინმე მიესადაგება ლიტერატურული პერსონაჟთაგან ოდნავ, უწინარესად, ჯეკ ლონდონის „მექსიკელის“ გმირია, რომელიც რევოლუციის გადასარჩენად გადის რინგზე. მანამდე უბრალო სავარჯიშო ბალიშის მაგივრობას უწევს მოკვრივეებს. მას ურტყამენ გამეტებით, მიეჩვევა თავის ოსტატურად დაცვას, რადგან თვითონ მუშტის შებრუნების უფლება არა აქვს. ჰოდა, როცა რევოლუციის იარაღის შესაძენი ფულისთვის გავა რინგზე, მომაკვდინებელი ნოკაუტით მოუგებს ორთაბრძოლას აქამდე ყოყლოჩინა ბღენძს, ხელის დაკარების უფლებაწართმეულს რომ ალილავებდა და ალილავებდა სადისტური ნეტარებით.

არსობრივად ემსგავსება რომან გვასალია „მექსიკელის“ პერსონაჟ–თქო, ვახსენეთ ზემორე და ეს ნათესაობა, უწინარესად, მაღალი იდეალებისთვის თავგანწირვაა, ამ შემთხვევაში, კანონიერი, ეროვნული ხელისუფლების ქომაგობა, შინ თუ გარეთ.

საბჭოური სამართალდამცავი ორგანოების მუშაკი თავადვე ჩამოშორდება ეპოლეტებს, ჩინ-მედლებს, პრივილეგიებს და დაუბრუნდება მარჩენალ მამაპაპისეულ მიწას. მთელი არსებით გადაეშვება ერის სულიერ მდუღარეში.

ყველაფერი მისი და მისი ოჯახის თვალწინ ჩაივლის, საყოველთაო ეროვნული აღზევება, ისტორიული რეფერენდუმი, ერის კონსოლიდაცია მიმინოსავით ჟღალი დროშის გარშემო, და ბოლოს, სულგაყიდული ხალხის მოღალატეობით განცდილი დღემდე მოურჩენელი მარცხი; ხელოვნურად ინსპირირებული ძმათამკვლელი ომი, ეროვნული დაუმორჩილებლობა.

სულ ეროვნული თანხმობის აუცილებლობას, სულ ეროვნული კონსოლიდაციისკენ და სამოქალაქო ინტეგრაციისკენ მოუწოდებდა დიდ-პატარას, მართალ-ბრალეულს ბატონი რომან გვასალია, მეტის დახანებას ვერ გვაპატიებს მომავალიო, აი, ამ სიტყვების არგუმენტაციით, ამისკენ აგეზიანებდა იგი თავის სულისდგმა მემკვიდრეს, მის აურაცხელ საძმოს...

და აი, ახლა, თითქოსდა ამ სულის მოთქმის ჟამს, სრულიად მოულოდნელად თავს დაატყდებათ ტრაგედია გვასალიებს. ბატონი რომანი, ყანაში შეუსვენებლად რომ მუშაობდა, სიმღერით რომ იქარვებდა ჭირ-ვარამს; ნათამადარი ხარისთავების და ბეჭების ყორე რომ ედგა ეზოში, სამარშინიანი ნაბიჯებით, ამიერიდან, ძველებურად არ მიეახლება ჭიშკართან მობრძანებულ სტუმარს. შვილის თავგადასავლებით მოსართებულმა მიკროინფარქტმა, რომელსაც სულ მუდამ მალავდა ახლობლებში, მის გაუბზარავ, ფოლადივით გულს, ბოლოს და ბოლოს, ლიბო გამოაცალა.

მიდგნენ და მოდგნენ, თითქოს გამოსტაცეს აშკარა სიკვდილს ფარული სისხლდენით ზეზეურად ჩამოღვენთილი კაცი, მალე კერიასაც მოუბრუნდება ჩვეული ღიმილით გაბრწყინებული რომან გვასალია, გაიხარებს შვილიშვილების ჟრიამულით, მოინახულებს მარჩენალ მიწებს. ეამება, დროულად რომ მოუხნავთ უმისობისას. გასხლულ ვენახს, ნაპატრონებ ხეხილს მოავლებს კმაყოფილ მზერას. სიამაყით შეიცნობს ვაჟიშვილის თანადროულ მარჯვენას ამ ნაჯაფარში, ნარდის თამაშითაც იჯერებს გულს მეზობლებთან, ნათესავებთან და კვლავაც თავისი ეზოკარის მოსახილველად გასული მითვლემს ბუნების წიაღში ყველასგან უჩუმრად, მიძილდიდდება, მიმარადისდება.

და ამინ სუფევა თქვენი, ბატონო რომან, მართალო კაცო მტერთან და მოყვარესთან, ერისკაცების ღირსეულო მასპინძელო და ქომაგო ნიადაგ, თავადაც ერის დაუბინდველ ხსომიერებაში დაბინდულო აწ და მარადის!

ნახვამდის, გამორჩეულო ჯოლხო!

ჩემო მეგობარო, ჩემო რომან!

იმ დღეს, იმ საშინელ დღეს, როცა შენი გარდაცვალება გავიგე, თბილისიდან ჩამოვედი, გზაში ტაქსის მძღოლს ვკითხე, რა ამბავია–მეთქი, ხობში.

ცუდი ამბავი დაგხვდება,–მითხრა, რომან გვასალია გარდაიცვალაო! ვერ გადმოგცემ რა ვიგრძენი, გულში თითქოს ხანჯალი დამარტყესო, ჩვენ ხომ მეგობრები ვიყავით! მეამაყებოდა შენი სიახლოვე, დღემდე მიყვარს შენი ღირსეული მეუღლე, ოთხი შვილისა და ათი შვილიშვილის გამზრდელი ქალბატონი ნანი!

შენ, ჩემო რომან, ძველი კოლხების ღირსეული შთამომავალი ხარ., თავადაც გამორჩეული კოლხი. შემოგხედავდა ადამიანი კოლხური სილამაზითა და ღირსების სავსე მამაკაცს–მაღალს, სპორტული აღნაგობით, სახეზე გეწერა კეთილშობილება, კაცთმოყვარეობა, თავმდაბლობა, სიკეთის ქმნის დაუოკებელი სურვილი, მუდამ ღიმილი გეფინა ლამაზ სახეზე, სიყვარულით სავსე თვალებით უცქერდი მოყვარესა და მტერსაც კი, უცხო ადამიანიც კი გიყვარდა, გაწუხებდა სხვისი ჭირი, გიხაროდა სხვისი სიხარული, თანაუგრძნობდი თანასოფლელებს, შენ სიტყვას, მართალს, ღონიერს, მებრძოლს უსმენდა ყველა და ითვალისწინებდა.

უფალმა სასუფეველი დაგიმკვიდროს ზეციურ ქრისტიანულ სამყაროში. არ გემშვიდობები, შენ მომავალშიც აქა ხარ ჩვენთან, შენს საყვარელ სოფელში. გჯეროდეს, შენს სახელს კვლავაც განადიდებენ შენი ღირსეული შთამომავლები.

იძინე მშვიდად, სახელოვანო ლამაზო კოლხო.

მერი აბრამია

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ღირსეული მამულიშვილი, გამორჩეული პიროვნება

შალვა ბერაია

და თანაუგრძნობენ მის ოჯახსა და ჭირისუფლებს.

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო სამძიმარს უცხადებს, საკრებულოს ყოფილ წევრს, სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის აპარატის უფროსს, ლაშა გვასალიას მამის

რომან გვასალიას

გარდაცვალების გამო.

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა ღრმა მწუხარებით თანაუგრძნობს სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის აპარატის უფროსს ლაშა გვასალიას და გამგებლის წარმომადგენელს გურიფულის ადმინისტრაციულ ერთეულში ნანა გვასალიას მამის

რომან გვასალიას

გარდაცვალების გამო.

იღუმენია ანა (მუსელიანი), მეუფე გრიგოლი, მამა კირიონი (დარასელია), მამა ილია (ლომაია), ოთარ ფაცაცია, ფრიდონ თოდუა, გიორგი გაჩეჩილაძე, გურამ აბსანძე, ვალიკო აბსანძე, ბონდო ჯიქია, დემურ გადელია, ბაკურ გულუა, გენო კალანდია, ზაურ კალანდია, ვახტანგ ცხადაია, ირინა ტალიაშვილი, მურმან ზაქარაია, დავით ზაქარაია, კობა არაბული, გიორგი სიჭინავა, ჯემალ შონია, დავით ქობალია, ზაურ ჩქვანავა, ზაზა ჩქვანავა, ზაურ მოლაშხია, ბორის კალანდია, ირაკლი კალანდია, ტარიელ გელანტია, ლოთი ქობალია, სოსო ლაგვილავა, ედემ კვირტია, ვალერი გაბელია, გურამ წულაია, ლევან მებონია, გია ხუბუა, ნუგზარ სართანია, ლევან ქეცბაია, ელგუჯა თავბერიძე, როსტომ ჩხეიძე, ელგუჯა მარღია, ზაურ კვარაცხელია, ზურაბ ცხონდია, ზეინაბ სარია, მამუკა ციმინტია, გელა მამფორია, კოტე გურგულიანი, გია ჯიჭონაია, ვახტანგ მიშველია, ანგულ მიქავა, ბეჟან ნადარაია, დავით პაჭკორია, ლევან ფანჩვიძე, ზაურ ნაჭყებია, სოსო სიგუა, ალეკო გაბელაია, შუკო ჯიქია, ვახტანგ ხარჩილავა, გური ოტობაია.

შ.პ.ს. „ხობის მოამბეს“ თანამშრომლები ღრმა მწუხარებით თანაუგრძნობენ მწერალსა და პუბლიცისტს, გაზეთის გულშემატკივარს ბატონ ლაშა გვასალიას ოჯახს მამის

რომან გვასალიას

გარდაცვალების გამო.

შ.პ.ს. „ხობის მოამბეს“ თანამშრომლები თანაუგრძნობენ გაზეთის ყოფილ პასუხისმგებელ მდივანს ეკა ბასილაიას და დათო თოდუას დედის

თამარ (ლია) ფარულავა-თოდუას

გარდაცვალების გამო.

სულთათანა

გოგა ბერაია

„ადამიანისგან რაც რჩება მისი სიცოცხლე ესაა...“

სასაფლაოს შესასვლელში შემაღლებულზე შენი „სახლია“. ქვის საფეხურებს აივლი და წიგნივით გადაგეშლება გრანიტის ულამაზეს ლოდზე შესრულებული შენი პორტრეტი ფიქრიანი მზერით, ოდნავ შერბილებული სახის ნაკვეთებით, სადაც წერია „უფალო შენი ვარ, მაცხოვნე მე“...

ამ „სახლს“ მუდამ უამრავი სტუმარი ჰყავს, შემოგარენი ყოველთვის სავსეა ახლობლებით, მეზობლებით, მეგობრებით, მათი „მასპინძელი“. შენ, აგვისტოს ომის გმირი გოგა ბერაია ატმისა და ნუშის ყვავილობისას მოევლინე ქვეყანას, იმ დროს, როცა ბუნების ძალუმი სუნთქვა იგრძნობოდა ყველგან-მიწაზეც და ზეცაშიც, ყველა სულიერს გული სიხარულით ევსებოდა. აფეთქებული იყო ტყემლის რტოები, ნაირ-ნაირ ფრინველთა საამური გალობა ატკბობდა ადამიანთა სმენას. ბუნების ამ უჩვეულო მეჯლისში შენი წილი დაიდე, 18 აპრილს დაიბადე, მას შემდეგ 30 წელი გავიდა. შენი სიცოცხლე კი 22 წლის ასაკში შეწყდა. თავი სამშობლოს შესწირე.

უცაბედ სიკვდილზე შემზარავი არაფერი ყოფილა ამ ქვეყანაზე.

მე-8 გაზაფხულია უშენოდ ვხვდებით შენს დაბადების დღეს, დღეს, რომელსაც განსაკუთრებულად აღნიშნავენ შენი მშობლები დედა ლამზირა, მამა რევაზი, ძმა გიორგი, ახლობლები, მეგობრები, მეზობლები.

უჩვეულო საღამოა... ფრანები, ფეიერვერკები... მოგონებები... მეგობრები... ცრემლები...

„გოგა ჩვენი ძმა და მეგობარია, ცრემლით, დარდით, ფიქრითა და მონატრებით მივყვებით ერთმანეთს გოგას „სახლისკენ“. ვიცით, რომ „ბერმუხა“ (როგორც მას ეძახდნენ) იქ დაგვხვდება ჩვეული ღიმილით, იუმორით, თამადობით. წარსულს გავიხსენებთ, ერთმანეთთან გატარებულ დღეებს (მეტი რაღა დაგვრჩენია). ხშირად ავანთებთ სანთლებს და ვიამაყებთ მისით. ეს ყველაფერი გაგრძელდება მანამ, სანამ ჩვენ ვიქნებით ამ ქვეყანაზე–დათო, კაკუნა, გოდერძი, პაპუნა, გიგა, პაატა...

წამოსვლისას კიდევ ერთხელ გავხედე გოგას საფლავზე ანთებულ სანთლებს და ყვავილებს. ფიქრმა უცებ მომაშორა ადგილს თითქოს იმის დასტურად, რომ იქ არ შეიძლებოდა წერტილს დასმა, რადგან „ადამიანისგან რაც რჩება, მისი სიცოცხლე ესაა“. გოგას სიცოცხლე გრძელდება.

ნაირა ბერაია

ვახტანგ (კაჭია) ლატარია



დრო, რომელსაც გვაძლევს ცხოვრება, რამდენ ხანსაც უნდა გაგრძელდეს, მაინც მოკლეა. მითუმეტეს თუ იგი სიცოცხლის მხოლოდ 61 წელს ასახავს. მაგრამ არიან ადამიანები, რომლებიც მოკლე დროშიც ახერხებენ დაიმსახურონ იმდენი სიყვარული, რამდენიც საკმარისია სამუდამო სახელის დასამკვიდრებლად. სწორედ მათ მიეკუთვნება ვახტანგ (კაჭია) ლატარია. კაცი, რომელიც მეგობრობისთვის, სიყვარულისთვის, სიკეთისთვის და ნდობისთვის იყო გაჩენილი.

სულ 60 წელი იცხოვრა მაგრამ იმდენი სითბო და სიკეთე თესა, ხანდაზმული კაცისთვისაც კი საამაყო იქნებოდა.

ალფეზ ლატარიას საქვეყნოდ ცნობილ ოჯახში დაიბადა, დედა პედაგოგი გახლდათ, მან ოჯახშივე შეისისხლხორცა ქართული საუკეთესო ტრადიციები, მეგობრების სიყვარული, ურთიერთგატანის და ერთმანეთის ამოდგომის მნიშვნელობა.

ცხოვრებამ ვახოს დიდი გამოცდა მოუწყო, რასაც მთელი სიცოცხლის მანძილზე, ინანიებდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, არ დაცემულა, შექმნა ოჯახი, ქვეყანას მოუვლინა ვაჟი და ორი შვილიშვილი, რომელიც მისი სიცოცხლის აზრს წარმოადგენდა.

ვახო ჩვეულებრივი, მიწიერი ადამიანი იყო, თავისი ფიქრებით, თავისი განცდებით, პირადი წუხილითა და სიხარულით. ცხოვრებას არასოდეს გაუნებივრებია, მაგრამ არ გატეხილა, რადგან გვერდში ღირსეული მეუღლე მარინა ხოსიტაშვილი ედგა, რომლებიც ჯერ კიდევ სტუდენტობისას დაქორწინდნენ. ერთადერთ პირმშოს ბაბუას სახელი დაარქვეს და ღირსეულ, პატიოსან და კეთილ ადამიანად აღზარდეს.

ოჯახი ხარობდა შვილითა და შვილიშვილებით, მაგრამ ეს ცხოვრება ბოლომდე დაიცლის ვინმეს ბედნიერებით ტკბობას. ვინ იცის, რაზე და ვისზე ფიქრობდა ვახო უკანასკნელ წუთებში, რა დარჩა უთქმელი, რომელი საქმე დასამთავრებელი. მისმა მოულოდნელმა სიკვდილმა გული ატკინა ოჯახს, მეგობრებს, ნათესავებსა და მეზობლებს, რადგან ის იყო ყველა მათგანის ლხინისა და ჭირის გამზიარებელი, გვერდზე ერთგულად მდგომი.

...კარგია რომ ყველაფერი ამით არ მთავრდება! მოდის შთამომავლობა, ახალი თაობა–ახალი იმედებით; მთავარია ვახოს მეუღლემ, არ დაუკარგოს მათ წარსული, წინაპართა სახელები არ წაუშალოს მათ ხსოვნა.

ვახო! შენი ალიკა, შენი ერთადერთი შვილი, შენს მერე მამა-პაპისეულ სახლს დაუბრუნდა, რათა არ გამოიკეტოს ოჯახი, მხარში დაუდგეს დედას, არ ჩააქროს განელებული კერია.

14 მაისს 61 წელი შეგისრულდებოდა. ეს ჭარმაგობის ასაკია, რომელიც ვერ გადალახე.

ჩვენო ვახო! ჩვენო კეთილო და ერთგულო მეგობარო! იძინე მშვიდად მარდიულ განსასვენებელში. ამქვეყნიური ცხოვრების ორომტრიალით დაღლილმა იქ დაივანე სიმშვიდე. ჩვენ კი მუდამ გვემახსოვრება შენი მორიდებული და ღიმილიანი სახე.

მეგობრები

სვეტა პაპავა

მშვიდობით სვეტიკო! ღმერთმა აკურთხოს შენი გარდაცვალება და შენი გზა ზეცისკენ...

სულ რამოდენიმე დღეა, რაც ბინა სასუფეველში ჰპოვე ჩემო სვეტიკო. თეთა, ასე მოგმართე პირველად და ეს სახელი შეგრჩა სამუდამოდ. ძნელია, როცა საყვარელ ადამიანს ბოლო გზაზე გააცილებ, ადამიანს რომელთანაც მთელი ცხოვრება გაკავშირებს, ყოველდღიურად მის გვერდში ტრიალებ, მისი დარდის და სიხარულის გამზიარებელი ხარ და, ერთ დღეს, ეს ყველაფერი ფერს იცვლის, უბრალოდ, მოგონებები შთანთქავს ყველაფერს. სამი თვე იბრძოდი სისოცხლესთვის, რომელიც აგრერიგად გიყვარდა, აკი წამოგცდა კიდეც ბოლო ჟამს, „არ მინდოდაო ჯერ სიკვდილი“, სასიკვდილო მართლაც, რომ არ იყავი, მაგრამ წუთისოფელი რა განსაცდელს მოუვლენს ადამიანს, არავინ ვუწყით. ყველას მიმართ, თბილი და მოსიყვარულე იყავი, დიდთან დიდი და პატარასთან პატარა. სათქმელი ძალიან ბევრი მაქვს, მაგრამ მიჭირს სათქმელს თავი მოვუყარო, სიტყვა უძლურია! როგორ გითხრა, რას განვიცდი უშენოდ?! მართლად თქმულა: „არს მწუხარება სულისა, არ აქვს ნუგეში რომელსა“.

ვფიქრობ, შენზე უკეთ, ვერვინ გაიგებს, როგორ მტკივა უშენობა! ბოლო დღეებში შენს სასთუმალთან მყოფს, რა თბილად მითხარი, შენ ჩემი პირველი სიხარული, პირველი ძმისშვილი ხარო. ყოველთვის ვგრძნობდი განსაკუთრებულ სიყვარულს შენგან და მეც განსაკუთრებულად მიყვარდი. ჩემი მესაიდუმლეც იყავი, მამიდაც და კარგი მეგობარიც. ...რამდენი სათქმელი დამიგროვდა. გული ვეღარ იტევს ტკივილს.

შენი ლამაზი და სპეტაკი სული უფალმა ბრწყინვლე შვიდეულში მიიბარა. იქ, ზეციურ სასუფეველში, სადაც უამრავი საყვარელი ადამიანი გელოდება, მჯერა ბედნიერი იქნები, უდედობას ხომ ვერ გაუძელი და ერთი წლის თავზე მას ესტუმრე, ნინა ბებია მენატრებაო, ისიც იქ დაგხვდება, თავისებურად ჩაგიკრავს გულში და მოგესიყვარულება. მჯერა, სვეტიკო, შენ ძალიან არ გენდომებოდა ამ ქვეყნიდან წასვლით ტკივილი მიგეყენებინა შენი საყვარელი ადამიანებისთვის, ვის სიყვარულშიც ათენ-აღამებდი. რა ქნას უშენოდ შენმა საფიცარმა დაძმამ მოგელიმ და მადონამ. რძალმა ნანიმ. განგებამ შვილი არ გარგუნა, მაგრამ ოთხი ვაჟკაცი შვილივით გაზარდე, მათ სწავლა-განათლებაში ლომის წილი მიგიძღვის, დისშვილების ლევანის და გიორგის დავაჟკაცებას მოესწარი, მათი წარმატებით ხარობდი... იასონაზე და ოთარიზე იმედებს ამყარებდი, გეამაყებოდა მათი თითოეული წარმატება. მჯერა, ისინი შენს დანაბარებს აუცილებლად შეასრულებენ და საამაყო ვაჟკაცები დადგებიან შენდა სასახელოდ. შენ კი ჩემო სვეტიკო, იქედან დაიცავი ისინი. შენი მზრუნველობა და ლოცვა კურთხევა მათ გზას გაუნათებს.

მე კი ხშირად მოვალ შენს საფლავზე, მოგიტან ყვავილებს, რომელიც ძალიან გიყვარდა, მოგიყვები ახალ ამბებს... ჩემი ცრემლები კი მიითვალე შენდამი ლოცვად და სიყვარულად...

ნინო გერგაია.

იზა ლომთაძე

„სიკვდილო კარგის მოკვლისთვის ნეტა ვინ გეტყვის ქებასა“

უცნაური რამეა ბედისწერა. ზოგჯერ ამ ქვეყნად მოვლენილ ნიჭიერ და სხვებისგან გამორჩეულ ადამიანებს, უცებ მოაშორებს დედამიწას, რომ სიცოცხლე მისმა სულმა ზეციურ სამყაროში გააგრძელოს. ალბათ, უფლის ნებაა ასე.

აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულზე გარდაცვლილს, შენს სულს, შენი უხვად გაცემული სითბოსა და სიკეთისთვის, უფლის ანგელოზები წარგადგენენ ცათა სასუფეველში და იქ დაგამკვიდრებენ. ჩვენ კი... ვილოცებთ შენთვის, ღმერთს შევავედრებთ, რომ ნათელში ამყოფოს შენი სული, იზა!

ჩვენო მხიარულო, ალალო, ინტელექტუალო, კეთილო, ყოჩაღო და უზადო იუმორით სავსევ... შენ სადაც იყავი, ყველგან სიცოცხლე ჩქეფდა, ყველგან სიცილ-კისკისი ისმოდა, მოდიოდი და მოგქონდა უსაზღვროდ დადებითი მუხტი. როგორ შეაყვარე ყველას თავი, შინ და გარეთ, სამსახურში, სანათესაოში, სამეზობლოში, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ვიამაყებთ შენით, რადგან შენი მოკლე ცხოვრების მანძილზე იმდენი სითბო, სიკეთე და სიყვარული დათესე ირგვლივ, რასაც ზოგი საუკუნოვანი სიცოცხლის მანძილზე ვერ ახერხებს.

სიხარულსა და სიბრაზეს ერთნაირად ხმაურიანად გამოხატავდი, მაგრამ სინამდვილეში გულჩვილი, სიყვარულისთვის გულგახსნილი. სიცოცხლითა და ენერგიით სავსე, ყველა ჩვენი ლამაზი დღეების მთავარი მოქმედი პირი, ყოველდღიური ყოფის ნაწილი იყავი. მოთხოვნილებად გვქონდა შენთან ყოფნის სურვილი... იუმორი გაცოცხლებდა, სიყვარული „გატრიალებდა“, ბუმბერაზი იყავი შინაგანად და გარეგნულადაც...

მაგიდაზე და თაროებზე დაგრჩა წაკითხული და წაუკითხავი წიგნები, შენი ჩანახატები, იუმორები, შევსებული და შეუვსებელი კროსვორდები...

შენთვის დამახასიათებელი ხიბლით, შარმით, უანგაროდ და უხვად უნაწილებდი შენს მრავალრიცხოვან სამეგობროს სიყვარულს.

სამწუხაროდ, შენგან მხოლოდ მოგონებები გვრჩება... ჩვენს გულებში კი ხარ და იქნები დიდი მონატრებით და იმედით, რომ სიყვარული მარადიულია!

მეგობრები.

სპორტი

ხობის „კოლხეთის“ მორიგი გამარჯვება

ქალაქ გორში, „ქართლის“ სტადიონზე საქართველოს XXVII ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის მეორე წრის მორიგი კალენდარული მატჩი გაიმართა. ერთმანეთს ცხინვალის „ლიახვი“ და ხობის „კოლხეთი“ შეხვდნენ. მატჩი „კოლხეთის“ გამარჯვებით, ანგარიშით 0:3 დასრულდა.

21 მაისს გაიმართება ჩემპიონატის ბოლო ტურის მატჩში, სადაც ხობის კოლხეთი ჩხოროწყუს „სამეგრელოს“ უმასპინძლებს.

ნორჩ მკლავჭიდელთა გამარჯვება

ქალაქ ქუთაისში გამართულ მკლავჭიდელთა შეჯიბრზე, რომელშიც 200-მდე სპორტსმენი მონაწილეობდა, წარმატებით იასპარეზეს ა(ა)იპ ,,ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის“ სასპორტო სკოლის ჭაბუკმა მკლავჭიდელებმა (მწვრთნელი კობა თუთბერიძე).

საუკეთესო შედეგები აჩვენეს და ტურნირის ჩემპიონები გახდნენ: ნიკა იოსავა - 65კგ წონით კატეგორიაში და ცოტნე ცხადაია, რომელმაც მარცხენა მკლავით ორ წონით კატეგორიაში 75 და 85 კგ დაამარცხა მეტოქეები, ხოლო 85 კგ წონით კატეგორიაში, მარჯვენა მკლავით მეორე ადგილს დასჯერდა. 60 კგ წონით კატეგორიაში მეორე ადგილი ნუგზარ ბიბილეიშვილმა, ხოლო ამავე წონით კატეგორიაში მესამე ადგილი ბუბა თირქიამ დაიკავა.

გამარჯვებულებს და პრიზიორებს საპატიო თასები, მედლები და დიპლომები გადაეცათ.

ტრადიციადქცეული რაგბის ფესტივალი ხობში

7 მაისს, ხობის „კოლხეთის“ სათადარიგო მოედანზე გაიმართა დასავლეთ საქართველოს რაგბის ფესტივალი, რომელშიც 2004-2005 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა 32 გუნდი იღებდა მონაწილეობას. ფესტივალი, რომელსაც ხობის მუნიციპალიტეტი მეოთხედ მასპინძლობს, მიზნად ისახავს რაგბის პოპულარიზაციას, თამაშის წესების სწავლებას და ტექნიკურ-ტაქტიკური ელემენტების დახვეწას. ფესტივალზე გამარჯვებული გუნდი არ ვლინდება.

ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა ქაჯაიამ რაგბის ფესტივალში მონაწილე გუნდები დააჯილდოვა.

სპორტული ფესტივალი განხორციელდა საქართველოს რაგბის კავშირის და ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის“ ორგანიზებით.

ხობელი მოჭადრაკეების წარმატებები

ქალაქ .თბილისში გაიმართა საქართველოს ჩემპიონატი ჭადრაკში(უმაღლესი ლიგა) 8, 12 და 16 წლის გოგონათა და ჭაბუკთა შორის. ჩემპიონატში მონაწილეობა მიიღეს განათლების ცენტრის სასპორტო სკოლის ჭადრაკის წრის (მწვრთნელ-მასწავლებელი ი.გეთია) მოჭადრაკეებმა: გიორგი ლატარიამ, რომელმაც 9 შესაძლებლობიდან 5 ქულით X-XI ადგილები გაიყო. ლიკა ჭანტურია და თამარ თუთბერიძე კი 4,5 და 5 ქულით ბათუმში ოქტომბრის თვეში ჩასატარებელ ჩემპიონატში მონაწილე კანდიდატთა შორის მოხვდნენ.

ჯანსაღი ცხოვრების წესისა და ლიდერობის პროექტი დევნილი ახალგაზრდებისთვის

ჯანსაღი ცხოვრების წესისა და ლიდერობის პროექტი დევნილი ახალგაზრდებისთვის დაიწყო 2015 წელს და გრძელდება 2016 წლის აგვისტოს ჩათვლით. პროექტი დაფინანსებულია ამერიკის საელჩოს მიერ, რომელსაც ახორციელებს საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელი GAEN-ი. პროექტის მიზანია, სამეგრელო-ზემო სვანეთის, ქვემო ქართლისა და კახეთის რეგიონში არსებულ ოთხ დევნილთა დასახლებაში (ჯვარი,სენაკი, შაუმიანი, ლელიანი) მცხოვრები 16-25 წლის 700მდე ახალგაზრდის ცნობიერების ამაღლება ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ, მათი ლიდერული უნარ-ჩვევების განვითარება და სამოქალაქო ჩართულობისა და პასუხისმგებლობის გაზრდა. პროექტის ფარგლებში მოეწყო ორი საინფორმაციო ბანაკი, სადაც გადამზადდა 20 ახალგაზრდა შაუმიანიდან, ლელიანიდან, სენაკიდან და ჯვარიდან. დღეს ეს ახალგაზრდები ავრცელებენ მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას თავიანთ სკოლებში, თემებში, რეგიონებში, საინფორმაციო კამპანიებით და სხვადასხვა აქტივობების სახით. სენაკის დევნილთა დასახლებიდან პროექტში ჩართულია 5 ახალგაზრდა, ესენი არიან: ილია გვარამია, მირანდა გოგინაშვილი, ლუკა ნაჭყებია, ლევან შენგელაია და ნიკა ყურაშვილი. დღესდღეობით ეს ახალგაზრდები იკრიბებიან სენაკის სათემო განათლების ცენტრში, ატარებენ ტრენინგებს და აქტივობებს ახალგაზრდებისთვის, ასევე პროექტის ფარგლებში ყოველ თვის ბოლო რიცხვებში ტარდება ექიმებთან შეხვედრები. მსურველებს შეუძლიათ დაესწრნონ ამ შეხვედრებსაც. ეს 5 ლიდერი ახალგაზრდა ყველანაირად ცდილობს საკუთარი თემი გააქტიუროს, ამიტომ თუ გაქვთ სურვილი შეუერთდით მათ, იყავით აქტიურები თქვენი თემისთვის და იცხოვრეთ ჯანსაღი ცხოვრების წესით. ასევე შეგიძლიათ, პროექტს თვალყური Facebook-ის ოფიციალურ გვერდზე Healthy Lifestyle and Leadership Project for IDP Youth ადევნოთ. კითხვების შემთხვევაში გთხოვთ დაგვიკავშირდეთ შემდეგ ნომერზე 598 35-09-31 ან ელ.ფოსტით lusodosti28@gmail.com-ლუსო დოსტიბეგიანი პროექტის კოორდინატორი

დამფუძნებელი: ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

გამომცემელი შპს „ხობის მოამბე“

სარედაქციო კოლეგია:
- თავმჯდომარე შ.პ.ს. „ხობის მოამბეს“ დირექტორი–მერი ლაგვილავა,
- თავმჯდომარის მოადგილე, დირექტორის მოადგილე–ნანი კილასონია.
- რედაქტორი–მანანა შულაია.
- ჟურნალისტები–ნინო გერგაია, ნაირა ბერაია.
- კომპიუტერული უზრუნველყოფა–ჯულიეტა ლატარია.

გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა შპს „ხობის მოამბეში.“
მის: ხობი, წმინდა ნინოს ქუჩა №1
ტელ: 0 (414) 22-21-13; 22-25-81; 599-50-40-57.
ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru
დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გაზეთში დაბეჭდილი მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.